# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 29 ივნისი, 2011 წელი.

№120 (6731)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## მიშა მართალია!



③

190 უსაქმური, ანუ გიხაროდენ - არც ხელისუფლება და არც მასთან შეთანხმებული ოპოზიცია ლორმუცელები არ არიან!

## რუსული დოქტრინის არემიქისეული ქართული ვარიანტი




## დრო ჩვენს სასარგებლოდ არ მუშაობს ⑥

„ქართველები მთლიანად დავკარგავთ აფხაზეთს, ხოლო აფხაზები „გაქრებიან“ უზიხებივით“

„კელასურის შეთანხმება“ რუსებს რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური აგრესიის შანსს არ დაუტოვებს“

## გია ბურჯანაძე:

## ბევრი ქართველის იმედი არასდროს მქონია



⑤

## როცა დედაქალაქი ყველგანაა და არსად არ არის! ③

„დეცენტრალიზაცია“, ანუ პარლამენტის გაქცევა და მოსპობა



## ახალი პოლიტიკური „პოლე ჩუდეს“ – ② მილიონი მინდააა!!!

## თავისი სახელის ჯორჯიად გადარქმევაში საქართველომ პირველ ⑧ წარმატებას მიაღწია

## ეს ჩვენი ისტორიაა



⑦

ამბავი ერთი სიყვარულისა

## ფულმა ჯოჯოხეთი გაანათა?

***ვისაც ფული აქვს, მუსიკასაც ის უკვეთავს... შენ დაუკარ! ამ აბსოლუტურ „ჭეშმარიტებას“ მმართველი გუნდი ზედმიწევნით ლოგიკურად იყენებს და, შესაბამისად, თანამდებობაც და ფულიც უწყვეტად აქვს. ფულით ყიდულობს ყველაფერს: არჩევნებს, ამომრჩეველს, პარტიებს... და საჭირო დროს არც გაყიდვა ენანება.***

# ახალი პოლიტიკური „პოლე ჩუდეს“- მილიონი მინდააა!!!

### რატომ „მიანიჭეს“ „ახალ მემარჯვენეებს“ კორუმპირებულის სტატუსი, რა არის პოლიტიკური კორუფცია და რა დაღუპავს საბოლოოდ პოლიტიკურ პლურალიზმს?

ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის ათთვიანმა მოლაპარაკებების პროცესმა ბოლოს და ბოლოს ის შედეგი მოიტანა, რაც გვაქვს და რასაც წმინდა წყლის გარიგება ჰქვია. მილიონმა პარტიები აცდუნა და ისეთ შეთანხმებაზე წავიდნენ, რაც ვერანაირად ვერ გააუმჯობესებს საარჩევნო გარემოს, მაგრამ ფულმა ჯოჯოხეთი გაანათა.

ის, თუ რა შესთავაზა ხელისუფლებამ „რვიანს“, მკითხველმა უკვე იცის და ამაზე ჩვენი გაზეთის დღევანდელ პუბლიკაციაშიც (მიშა მართალია!ძ არის ნათქვამი.ამიტომ ახლა ვნახოთ, რას ითხოვდა ოპოზიციური „რვიანი“, რომელიც დღეს უკვე „ექვსიანად“ იწოდება. მოლაპარაკების მაგიდაზე მათ რამდენიმეპუნქტიანი შეთანხმება დადეს, თუმცა ამჯერად, ყურადღებას დაფინანსების ნაწილზე შევაჩერებთ. მათ შორის იყო 5 კონკრეტული წინადადება: **ეს შეეხებოდა საარჩევნო კომპანიისთვის პარტიების დაფინანსების ზედა ზღვარის, ანუ „ჭერის“ დაწესებას. ცესკოდან ამოღებული ანგარიშების მიხედვით წარსული გამოცდილება ასეთი იყო: ყველაზე მაღალი ფინანსების მქონე პარტიამ დახარჯა 20 მილიონი ლარი, ხოლო საარჩევნოდ ყველაზე ცოტა დაფინანსება 200 ათასი ლარი იყო. პოლიტიკური „რვიანი“ საშუალო არითმეტიკულზე გაჩერდა და 10 მილიონი ლარი ჩაწერა. ამ მოთხოვნაზე ხელისუფლება დღეს არაფერს ამბობს და ამაზე არც შეთანხმებაშია საუბარი.**

**ოპოზიციური პარტიების მოთხოვნა იყო საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლებისთვის დაფინანსების გაორმაგება. საოლქო კომისიის შემთხვევაში ეს პირობა დაკმაყოფილდა, ხოლო საუბნოს წარმომადგენელთა დაფინანსება იგივე დარჩა.**

**„რვიანისთვის“ არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო პარტიების დაფინანსების პრობლემა. დღეს საზოგადოება ოპოზიციისთვის შეთავაზებულმა მილიონმა შოკში ჩააგდო, მაგრამ მოლაპარაკების მაგიდაზე კიდევ უფრო მკაცრი მოთხონა დადო თავად ოპოზიციამ. თუკი პარტია 3-პროცენტიან ზღვარს გადალახავდა, არჩევნების შემდეგ სათანადო დოკუმენტაციის წარდგენისას სახელმწიფოს მილიონი დოლარი (და არა ლარი) უნდა აენაზღაურებინა, ერთი წლის ვადაში.**

**ხელისუფლება, როგორც ხედავთ, მხოლოდ მილიონს იმეტებს, რაზეც ზოგიერთი დაყაბულ-**



**და, თანაც ბარიერის ზღვარი 3-ის ნაცვლად 5 პროცენტია.**

**მოთხოვნათა ნუსხაში ეწერა, რომ სახელმწიფო ტენდერებში გამარჯვებულ ორგანიზაციებს სულ მცირე ერთი წელიწადი საარჩევნო კომპანიის დაფინანსების უფლება უნდა შეზღუდვოდათ. თუმცა დოკუმენტში არც ამ უკანასკნელ პირობაზეა რამე ნათქვამი, ანუ საბოლოოდ, შეზღუდვები არ დაწესდა...**

ეს პირობები გახდა პოლიტიკური პარტიების აზრის სხვადასხვაობის მიზეზი, რამაც საბოლოოდ მათი გაყრა გამოიწვია. დღეს „ახალი მემარჯვენეები“ თავს იმართლებენ და ამტკიცებენ, რომ ამაზე მეტის დათმობას ნაციონალები მაინც არ აპირებენ. **მამუკა კაციტაძე** ერთ მთავარ გარემოებაზეც ამახვილებს ყურადღებას: **„დოკუმენტის პირველ ვარიანტში, რომელზეც ხელი უნდა მოგვეწერა, იყო ერთი დისკრიმინაციული მუხლი**, — ამბობს ის, — **მილიონის დაფინანსებას მიიღებდა არა ყველა პარტია, ვინც ბარიერს გადალახავდა, არამედ ის, ვინც შეთანხმების ხელმომწერი იქნებოდა. ამაზე ჩვენ სერიოზული პრეტენზია გამოვთქვით და ბოლო მომენტში ეს მოთხოვნა ჩასწორდა. ანუ დაფინანსებას მიიღებს ყველა ბარიერგადალახული პარტია“.**

კაციტაძის მტკიცებით, მოლაპარაკებები გაგრძელდება თუ არა, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ წინ ბევრი სამუშაოა, რადგან საბოლოო ვარიანტი მხოლოდ ოქტომბრის ბოლოს დაიდება, ხოლო ხელისუფლებამ მასში შეიძლება ცვლილებები კიდევ შეიტანოს. „აქტიურობა ახლა გვჭირდება, რადგან ხელში ისიც არ შემოგვადნეს, რაც გვაქვს“, — დასძინა მან.

რატომ გაიზარდა დეპუტატთა რაოდენობა, რომელიც ერთხელ უკვე განისაზღვრა რეფერენდუმით — ის რომ არ უნდა ყოფილიყო 150-ზე მეტი? დასჭირდება თუ არა ამას კვლავ რეფერენდუმის ჩატარება, თუ იგი უბრალოდ კონსტიტუციაში „ჩასწორდება“? დღეს ეს კითხვები არანაკლებ საინტერესოა, ვიდრე „მილიონი“. 83-მდე მაჟორიტართა რაოდენობის ზრდა გამოიწვია იმან, რომ 100 ათასზე მეტი ამომრჩევლიანი ოლქები ორად გაიყო. ასეთი სული 10 იყო: 5 თბილისში, დანარჩენი — დიდ ქალაქებში. 75 ოლქს 2 მოაკლდა, რადგან შიდა ქართლის ტერიტორია დავკარგეთ. დარჩა 73, რომელსაც ამჯერად 10 დაემატა. ასე მიიღეს... 83 ოლქი. რაც შეეხება პროპორციულ სისტემას ოლქების



დაყოფის გამო ისიც ავტომატურად გაიზარდა.

რა არგუმენტები აქვს „რესპუბლიკელ“ **ვახტანგ ხმალაძეს,** რომელიც ამის გამო ძალიან შეშფოთებულია? **„პარლამენტის წევრთა რაოდენობა 150 რომ არ უნდა აღემატებოდეს, ეს რეფერენდუმმა ერთხელ უკვე დაადგინა, — ამბობს იგი. — ხელისუფლებას შეუძლია რაოდენობის თუნდაც ერთამდე შემცირება, მაგრამ გაზრდის უფლებას კვლავ რეფერენდუმი სჭირდება. მით უმეტეს, რომ ის პრეტენზია, რომელიც ჩვენ გვქონდა უბნების რაოდენობის მიხედვით ხმების მიღებასთან დაკავშირებით, კვლავ პრობლემად რჩება. კი, ბატონო, 100 ათასი და მეტი ამომრჩევლიანი ოლქები გაყვეს, მაგრამ 50 ათასი დარჩა თუ 75 ათასი, ის ხომ არ უტოლდება 3-4-ათასიან ოლქს?! ანუ ასეთ საარჩევნო ოლქებს შორის განსხვავება მაინც დიდია.**

**საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებას პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებული მორიგება ხელს არაფერში უწყობს, რადგან სისტემური პრობლემები ისეთივე რჩება: არ იცვლება ე. წ. კარუსელების, ჩაყრების, მიწერების თემა, საარჩევნო სისტემის მთელი რიგი საკითხები, მიღებული ხმების მიხედვით პროცენტების გადანაწილების მოგვარება და ა. შ. ანუ როცა არც ერთი არსებითი საკითხი გადაწყვეტილი არ არის, ასეთ შემთხვევაში, სხვა რამესთან გვაქვს საქმე, კერძოდ, პოლიტიკურ კორუფციასთან“.**

ხმალაძის ეს შეფასება მამუკა კაციტაძემ მრგვალ მაგიდასთან მოისმინა, რომელიც არასამთავრობოების ორგანიზებით პარტიების დაფინანსების მონიტორინგის წარდგინებას შეეხებოდა (ამაზე დაწვრილებით ჩვენს მომდევნო ნომერში გიამბობთ). ბუნებრივია, მემარჯვენემ კრიტიკა იწყინა: გმადლობთ, კორუმპირებულის სტატუსის მინიჭებისთვის, ბატონო ვახტანგ, — მიმართა კოლეგას, თუმცა სათქმელი აღარ გააგრძელა.

**„ასე ერთჯერადად კონკრეტული თანხის შეთავაზება არ შეიძლება, თანაც, ვინ რა იცის წინასწარ, რამდენს დახარჯავს საარჩევნოდ ესა თუ ის პოლიტიკური პარტია. ასეთი — თამაში „მილიონი მინდა — დაღუპავს პარტიულ პლურალიზმს“, — დაასკვნა საბოლოოდ, თავისუფალმა დემოკრატმა თეა წულუკიანმა...**

**თეა მოსია**

## ბრიფინგი

# ეკა ბესელია:
# ეს მზაკვრული დოკუმენტია!



**ხელისუფლებისა და პოლიტიკური „რვიანის“, აწ უკვე „ექვსიანის“, მოლაპარაკებები — საარჩევნო გარემოს შეცვლაზე, მრავალთვიანი ლოდინის შემდეგ მმართველი გუნდის მხრიდან კონკრეტული შეთავაზებით — „საბოლოოა და გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება“ პრინციპით გრძელდება.**

სამოქალაქო მოძრაობის „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს!“ ხელმძღვანელმა ეკა ბესელიამ ზემოაღნიშნული წინადადებები გააკრიტიკა და მასზე ხუთი პოლიტიკური სუბიექტის მიერ ხელის მოწერა პოლიტიკურ სასაკლაოზე ასვლას შეადარა.

**— „ხელისუფლება ცდილობს, ღიად და დაუფარავად პოლიტიკურ კორუფციაში თანამონაწილედ მიიპატიჟოს პოლიტიკური პარტიები და მილიონიანი ფინანსური სარგებლის შეთავაზებით აცდუნოს, რათა ხელმოწერები წარმატებული მოლაპარაკების დასტურად მიიღოს“,** — აცხადებს ეკა ბესელია.

ხელისუფლება ოპოზიციას პარლამენტის დეპუტატთა რაოდენობის გაზრდას, მმართველი გუნდის, ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად ამომრჩეველთა სიების დაზუსტებასა და მის გადამოწმებას 2012 წლის ივლისამდე სთავაზობს...

ეკა ბესელიას თქმით, პარლამენტში დეპუტატთა რაოდენობის გაზრდა ქვეყანაში ბოლო რეფერენდუმის შედეგებს ეწინააღმდეგება, ვიდრე იმავე გზით სხვა გადაწყვეტილებას არ მიიღებს მოსახლეობა, კონსტიტუციური ნორმის შეცვლა არ შეიძლება!

ამომრჩეველთა სიების სისწორის დადასტურება ხელისუფლებამ ერთხელ უკვე სცადა ადგილობრივი არჩევნების დროს ცნობილი 100.000 ლარის პარტიებისთვის გადახდით, ამ პროცესის დაგვირგვინებას ხელისუფლება ამ შემოთავაზებით ცდილობს არჩევნებში სასურველი შედეგების მიღებას. ხელისუფლება „რვიანს“ არჩევნებში მისი ძირითადი ბერკეტის — ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე მონიტორინგის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს შექმნას სთავაზობს, რითაც თავისთავად აცხადებს, რომ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე უარის თქმას არ აპირებს.

ეკა ბესელიამ საარჩევნო სიების 2012 წლის ივლისამდე გადამოწმების წინადადებას პარლამენტის ვადის გახანგრძლივება და კონსტიტუციის დარღვევა უწოდა, რადგან საკანონმდებლო ორგანოს ვადა მაისში ეწურება. ბესელიამ ოპოზიციურ პარტიებს **„მზაკვრული დოკუმენტის ხელმოწერისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდა — „სამართალი პოლიტიკისა და ზნეობის ნაჯვარია და ისეთ შეთანხმება-გარიგებას, რომელიც ზნეობასა და კანონს გადააბიჯებს, არავინ არ უნდა დაუჭიროს მხარი. შეუძლებელია ისეთი შეთანხმების დადება, რომელიც მომავალში კონსტიტუციის ცვლილებების საფუძველი გახდება“,** — დასძინა ბესელიამ.

**გულნაზ გახარია**

## განათლება

# უსაფრთხო სკოლის პროგრამის ახალი ეტაპი

**სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა 2011 წლის თებერვალში დაიწყო უსაფრთხო სკოლის პროგრამის სამოქალაქო მონიტორინგი. ეს პროექტი ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით განხორციელდა.**

პროექტის მიზანია საზოგადოების ჩართვა უსაფრთხო სკოლის პროგრამის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში საზოგადოებისა და განათლების და მეცნიერების სამინისტროს შორის დიალოგის გააქტიურება.

ამასთან დაკავშირებით 28 ივნისს, სასტუმრო მერიოტში სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა პრეზენტაცია მოაწყო თემაზე „უსაფრთხო სკოლის არსებული მოდელი. წინააღმდეგობები და გამოწვევები“.

კანონის მიხედვით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას ენიჭება უფლებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მის დამოკიდებულებას თანამედროვე სკოლის წარმატებასთან. მნიშვნელოვანია მისი ეფექტური თანამშრომლობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მშობლებთან, და ა. შ.

თანამედროვე სკოლა ასევე გულისხმობს მომავალი თაობის აღზრდას ისეთ ვითარებაში, სადაც რეალიზებული იქნება სკოლის დისციპლინა. 2003 წლიდან აქტიურად დაიწყო საგანმანათლებლო სისტემაში რეფორმების განხორციელება.

როგორც აღინიშნა, ზოგადი განათლების სისტემის რეფორმირებისას დეცენტრალიზაციას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ის იყო ღერძი, რომელზეც აიგო მთელი სისტემის რეფორმირება.

კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ გაჯერებული იყო სკოლებში თვითმმართველობის დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობის სულისკვეთებით.

ერთ-ერთი პირველი ცვლილება, რომელიც „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში განხორციელდა და მიმართული იყო თვითმმართველობის სიზუსტეებისკენ, 2008 წლით თარიღდება.

კანონის ძველი რედაქცია კრძალავდა დირექტორების იმ კანდიდატთა სამეურნეო საბჭოსთვის განმეორებით წარდგენას, რომლებიც არ იქნენ არჩეულნი დირექტორებად. კანონის ახალმა რედაქციამ ეს მოთხოვნა გააუქმა.

საქართველოს კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“ 2010 წლის 21 ივლისს



განხორციელებულ ცვლილებებში გამოჩნდა მანამდე ზოგადი განათლების სისტემებისთვის უცხო ინსტიტუტი „მანდატური“, რომლის ძირითადი დანიშნულება წესრიგის დამყარებაა. შეხვედრაზე აშშ-დან ჩამოსული სტუმარიც იმყოფებოდა. მან ე. წ. მანდატურს რესურს-ოფიცერი უწოდა. გაირკვა, რომ ორივე მათგანს თითქმის ერთნაირი ფუნქცია ეკისრებათ, ოღონდ სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ აშშ-ში ე. წ. რესურს-ოფიცერის შერჩევა უშუალოდ დირექტორის თანხმობით ხდება, ჩვენთან კი მანდატურს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ნიშნავს.

**ირინა ოზოლაშვილი**

ესეც ასე!

# მიშა მართალია!

## 190 უსაქმური, ანუ გიხაროდენ - არც ხელისუფლება და არც მასთან შეთანხმებული ოპოზიცია ღორმუცელები არ არიან!

**გაგიკვირდათ ხომ ჩემგან ასეთი სათაური?**

**ნუ გიკვირთ!**

**ნუ გიკვირთ, რადგან ეს იმ ხალხის „დამსახურებაა“, ვინც „ერის მამობას“ იჩემებს და „წიქარას“ დედინაცვალზე უარესი კი არის.**

**უარესები არიან, რადგანაც მაშინ, როცა ეს ე.წ. „ერის მამები“ ბრტყელ-ბრტყელი პატრიოტული და ეროვნული გრძნობებით გაჟღენთილ სიტყვებს გვაფრქვევენ თავზე და თითს მუქარით გვიქნევენ, ზურგს უკან გაშვერილი ხელით ხელისუფლებისგან ნაწყალობევ თეთრებს იღებენ.**

**ახლა არ მითხრათ, დაანებე იმ ღვაწლმოსილ და მოხუც ხალხს თავი, მათ იმხელა დამსახურებები აქვთ ერის წინაშე, რომ შეუძლიათ თავს „მცირე“ კონფორმიზმის უფლება მისცენო.**

როგორ გეკადრებათ, სულაც არ ვგულისხმობდი კულტურისა და ხელოვნების იმ მუშაკებს (დიახ, სწორედაც რომ, „მუშაკებს“-ძ, რომლებმაც ამ ბოლო დღეების განმავლობაში სცადეს თავიანთი „პოლიტიკური“ შეფასებებით გაემართლებინათ ხელისუფლებაში მოსულთა ბარბაროსობა და საქართველოს მოსახლეობისაგან ნამდვილად დაიმსახურეს სააკაშვილის „დაპატენტებული“ ტიტული „ჩარეცხილები“.

არა, ბატონო, მათთან რა საქმე მაქვს.

მათი წარსული ღვაწლისა თუ დღევანდელი მლიქვნელობის შეფასება რა ჩემი საქმეა. მაგათ უჩემოდაც მიხედავენ.

მე უბრალოდ იმ პოლიტიკანებს ვგულისხმობ, რომლებმაც, „როგორც იქნა, გააუმჯობესეს საარჩევნო გარემო“ და ხელისუფლების მიერ შემოთავაზებულ შეთანხმებას ხელი მოაწერეს.

რაღა დაგიმალოთ და ამ ფრაზაში ორი მცირე ლაფსუსია.

**პირველი** ისაა, რომ ამ პოლიტიკურმა სუბიექტებმა, საარჩევნო გარემო მთლად ისე ვერ „გააუმჯობესეს“, როგორც უნდოდათ და ამიტომ მიუხედავად „მიღწეული შეთანხმებისა“, მუხლჩაუხრელი ბრძოლა მაინც გრძელდება (ისე ხომ მაგარი სიტყვაა „სუბიექტი“?ძ.

**მეორე** კი ისაა, რომ იმ „დოკუმენტს“, რომელსაც ორშაბათის ხმაურიანი ბრიფინგების თანხლებით მოეწერა ხელი, წესით **„პოლიტიკური“ კი არა „სავაჭრო“** გარიგება უნდა ეწოდოს.

არ გჯერათ?

აი ის „დოკუმენტი“ და ერთად ვნახოთ.

**1. საქართველოს კონსტიტუციით განისაზღვროს, რომ საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობა შეადგენს 190-ს, აქედან 83 დეპუტატი მაჟორიტარული სისტემით ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქებიდან აირჩევა, ხოლო 107 - პროპორციული სისტემის საფუძველზე.**

**2. საარჩევნო სიების დაზუსტებისა და მონიტორინგის მიზნით სპეციალური კომისია შეიქმნება, რომელიც ხელისუფლების, ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებით პარიტეტულ საწყისებზე დაკომპლექტდება; კომისიამ 2011 წლის პირველი ოქტომბრიდან 2012 წლის პირველ ივლისამდე პერიოდში ამომრჩეველთა სიების გადამოწმება უნდა უზრუნველყოს. პარტიების, არასამთავრობო სექტორისა და დაინტერესებული პირების მიერ წარმოდგენილი სამართლებრივად დასაბუთებული წინადადებების საფუძველზე ცსკ-მ ამომრჩეველთა სიაში ცვლილებების შეტანა უნდა უზრუნველყოს. კომისიის საქმიანობას აპარატი უზრუნველყოფს. კომისიის წევრებისა და აპარატის დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან განხორციელდება.**

**3. საარჩევნო კოდექსში გათვალისწინებული იქნება შემდეგი საკითხები:**

**3.1 საარჩევნო სუბიექტის შემოწირულობათა ზღვარი განისაზღვრება 60 000 ლარის ოდენობით - ფიზიკური და 200 000 ლარის ოდენობით — იურიდიული პირებისთვის.**

**3.2. საარჩევნო სუბიექტი, რომელიც გადალახავს საარჩევნო ბარიერს (5 პროცენტი), სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადად, საარჩევნო კამპანიის ხარჯების დასაფარად 1 მლნ ლარს მიიღებს, მათ შორის 300 000 ლარს — მიზნობრივად, წინასაარჩევნო სატელევიზო რეკლამების ხარჯების დასაფარად. აღნიშნულის შესახებ საარჩევნო სუბიექტმა ცსკ-ს წინასწარ წერილობით უნდა აცნობოს.**

**3.3 კანონის საფუძველზე უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო შეიქმნება, რომლის მიზნადაც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების მონიტორინგი და საარჩევნო კამპანიის წარმართვის წესების დარღვევაზე რეაგირება განისაზღვრება.**

**3.4 კანონის საფუძველზე განხორციელდება მედიამონიტორინგი, რომლის მიზანიც საარჩევნო კამპანიის გაშუქების შეფასება იქნება. მედიამონიტორინგის განხორციელების მიზნით კომპეტენტური უცხოური ან საერთაშორისო კომპანიის შერჩევას ცსკ უზრუნველყოფს.**

**3.5 არჩევნების დღეს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების დაფინასნება განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცსკ-სთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან თითო წარმომადგენელზე 50 ლარის ოდენობით.**

**3.6 დადგინდება ზედა ზღვარი გადასატანი ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის უფლების მქონე პირთა რაოდენობაზე.**

**3.7 გადაიხედება დავების განხილვისთვის დადგენილი ვადები, მაქსიმალურად გაიზრდება საარჩევნო სუბიექტებისთვის დადგენილი ვადა, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია სარჩელის შეტანა პირველი ინსტანციის სასამართლოში.**



როგორც ხვდებით ყველა პუნქტის ცალ-ცალკე განხილვას აზრი არა აქვს. ამიტომ მოდით და მხოლოდ იმ მთავარ საკითხებზე ვისაუბროთ, რაც, ასე თუ ისე, იმსახურებს ჩვენს ყურადღებას.

პირველი და უმთავრესი ისაა, რომ თუ აქამდე **150 უსაქმურს** ვარჩენდით თავიანთი აპარატებით, თანაშემწეებით, სხვადასხვა ჯურის მრჩევლებითა და კონსულტანტებით, ახლა **190 უსაქმურის** რჩენა მოგვიწევს.

არადა „რავარია“ 190 უსაქმურის ქუთაისში რჩენა?

არა, ნამდვილად არაფერი მაქვს „ბიკენტიას საქაბაბეს“ გაფართოების საწინააღმდეგო, მაგრამ 190 მართლა „ნამეტნავად“ ბევრია.

არადა ამ პირველ პუნქტში ყველაზე სასაცილო მაინც პარლამენტართა ახალი რაოდენობაა.

რატომ მაინცადამაინც 190 და არა 181, ან 203?

ის ანეკდოტი გამახსენდა, კაცი სახინკლეში 99 ხინკალს რომ მოითხოვს.

თქვენც გაგახსენდათ ხომ?

ჰოდა 190 უსაქმური ზუსტად გვაჩვენებს, რომ არც ხელისუფლება და არც მასთან შეთანხმებული ოპოზიცია ღორმუცელები არ არიან.

ძალიან „საინტერესოა“ ამომრჩეველთა სიის დასაზუსტებლად შესაქმნელი კომისიის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების საკითხი.

„რაც თავი მახსოვს“ სულ ამ ამომრჩეველთა რაოდენობაზეა კამათი და დავიდარაბა. ზოგი რამდენს იძახის და ზოგი — რამდენს. არადა თავის დროზე ამ სიის დასაზუსტებლად საკმაოდ მსუყე თანხა, 1 100 000 ლარი იყო გამოყოფილი და ის 11 სუბიექტზე გადანაწილდა **(აუუ, ძალიან მაგარი სიტყვაა „სუბიექტი“!).**

**თუ სია არასწორია და ხელახლა დასაზუსტებელია** (ანუ საარჩევნო კომისიის შესაბამისი ქვედანაყოფი ვერ უზრუნველყოფს იმ ცვლილებების გათვალისწინებას, რაც ბუნებრივად ხდება არჩევნებიდან არჩევნებამდე და „პარიტეტული კომისიის“ შექმნაა საჭიროძ, **ისმის მარტივი კითხვა: — რაში გაიხარჯა ბიუჯეტიდან გამოყოფილი ერთი მილიონ ასი ათასი ლარი?**

ამიტომ წერილის დასასრულ დასკვნის სახით ვიტყვი: რამდენიც არ უნდა „იბრიფინგონ“ აწ უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეული „რვიანის“ ლიდერებმა და მედიასთან გაკეთებულ კომენტარებში, რაც არ უნდა იძახონ „მცირე გამარჯვებას“ მივაღწიეთ, დიდი გამარჯვებები ჯერაც წინ გველოდებაო, ერთი რამე ყველასთვის ცხადი გახდა:

**— მიხეილ სააკაშვილი მართალი იყო ოპოზიციის შეფასებებში.**

**აბსოლუტურად მართალი!**

გია გაბრიჭიძე

გვეშველება რამე?

# როცა დედაქალაქი ყველგანაა და არსადაც არ არის!

## „დეცენტრალიზაცია“, ანუ პარლამენტის გაძევება და მოსპობა

**ქვეყნის პარლამენტმა პირველი მოსმენით განიხილა საკონსტიტუციო შესწორება საკუთარი ადგილსამყოფელის შეცვლის შესახებ. ახალი მოწვევის პარლამენტი ქუთაისში, ახალ შენობაში შეიკრიბება, რუსთაველის პროსპექტზე მდებარე მთავრობის სასახლე კი, როგორც ჩანს, გაიყიდება.**

ამ გადაწყვეტილების საზოგადოებისთვის შეთავაზებული ერთადერთი არგუმენტი ასეთია: თურმე პარლამენტის ადგილსამყოფლის შეცვლა დეცენტრალიზაცია ყოფილა, ხოლო დეცენტრალიზაცია კი — ქუთაისის აღორძინების საწინდარი. ასეთი არგუმენტის მოყვანა სალ ჭკუაზე მყოფს მხოლოდ მაშინ შეუძლია, როცა პარლამენტს ქვეყნის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოდ და საკანონმდებლო ხელისუფლებად უკვე აღარ მიიჩნევს, რადგან ამ თვისობრიობის მქონე ინსტანციის დეცენტრალიზაციაზე საუბარი სრულიად უაზროა.

მართლაც: პარლამენტის საზრისი ისაა, რომ იგი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო და კანონმდებელია, იგი პოლიტიკური სივრცის ცენტრი და ის ადგილია, სადაც მიისწრაფის და თავს იყრის საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ყველა პოლიტიკური ძალა, პოლიტიკური იდეა, კონცეფცია, პროგრამა თუ პროექტი. პარლამენტში, და არა სხვაგან, წინასწარ განსჯიან და აკანონებენ უმთავრეს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. როგორც ყველა გზა რომში მიდის და ამიტომაა იგი ცენტრი, ასევე ყველა პოლიტიკური პროცესი, ბუნებრივად, პარლამენტისაკენ მიემართება.

**თუ ვინმე ცენტრის დეცენტრალიზაციას აპირებს, იგი ან შეშლილია ანდა ცენტრის და ცენტრთან ერთად მის გარშემო არსებული სივრცის მოსპობა აქვს განზრახული. პარლამენტისთვის სხვა ადგილის მიჩენა, მისი ცენტრიდან გაძევება შეუძლებელია. იგი თავად ცენტრია და სადაც იგი ფიზიკურად იქნება, სწორედ ის შენობა და, შესაბამისად, ტერიტორიული ერთეული გახდება ცენტრი. ამრიგად, ჩვეულებრივ ვითარებაში პარლამენტის ადგილსამყოფელის შეცვლა ცენტრის გადანაცვლება, ანუ ახალი დედაქალაქის გაჩენაა.** მაგრამ კონსტიტუციური ცვლილება თბილისისათვის დედაქალაქის სტატუსის ჩამორთმევას არ ითვალისწინებს.

ზოგს ჰგონია, რომ საქართველოში ორი დედაქალაქი გაჩნდება, რაც, მართალია - უჩვეულოა, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში გამართლებული პრაქტიკაა. ასეთი მოსაზრებაც უხეში შეცდომაა, რადგან თუნდაც მეორე დედაქალაქის ტვირთის ტარება მხოლოდ პარლამენტის ტერიტორიულ ადგილსამყოფელთან როდია დაკავშირებული და ძირეული სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული თუ ურბანული ძვრების განხორციელებას გულისხმობს.

მართლაც, რამდენი რამ უნდა შეიცვალოს ძირფესვიანად, რომ ქუთაისის იმ უსახურ ადგილს, რომელიც პარლამენტის ახალი შენობის სადემონსტრაციო ბანერზეა გამოსახული, ისეთივე მიზიდულობის ძალა ჰქონდეს, როგორიც რუსთაველის გამზირს აქვს. ქუთაისის დედაქალაქად გადასაქცევად, გარდა პარლამენტის უცნაური შენობის აგებისა, სხვა ცვლილებები არც იგეგმება და ამ ქალაქსა თუ ქვეყანაში არსებული რესურსებით ეს წარმოუდგენელიც არის. **თბილისი და რუსთაველის გამზირი მხოლოდ იმიტომ კი არ არის ცენტრი, რომ აქ პარლამენტის შენობა დგას. უფრო პირიქით — პარლამენტის შენობისთვის ყველაზე შესაფერისი ადგილი თბილისი და რუსთაველის გამზირია.**

იხ. 4 გვ.

## გვეშველება რამე?

(მესამე გვერდიდან)

# როცა დედაქალაქი ყველგანაა და არსადაც არ არის!

ამას მთლიანობაში განაპირობებს დედაქალაქის ისტორიული ტრადიცია, სოციალურ-კულტურული გარემო და, თუ გნებავთ, ქართული იდენტობის განცდაც. ალბათ, არც ერთ რიგით ქართველს ეჭვიც არ ეპარება, რომ პარლამენტი რუსთაველის გამზირზე „მთავრობის სასახლედ“ წოდებულ შენობაში უნდა იყოს. პარლამენტის ადგილსამყოფელის გადასინჯვა მეტად წონიანი არგუმენტების არსებობის დროსაც სათუო იქნებოდა. ძნელია დათანხმდე, თუკი ამას უკიდურესი აუცილებლობა არ გაიძულებს.

**მაშ, რასთან გვაქვს საქმე? რას ნიშნავს სინამდვილეში ასეთი „დეცენტრალიზაცია“?**

რაღაცისთვის სხვა საზრისის მქონე სახელის დარქმევა და ამით შექმნილი ვირტუალური რეალობით თამაში ხომ დღევანდელი ხელისუფლების დაუცხრომელი ჟინია. ამ ჟინის დაკმაყოფილებას სავალალო შედეგები მოაქვს – წარმოსახვითი რეალობის შესაქმნელად მიღებული რეალური გადაწყვეტილებები ხშირად იმ ნამდვილი საგნების ან პროცესების განადგურებას იწვევს, რასაც ეს გადაწყვეტილებები შეეხება.

წარმოვიდგინოთ კომპიუტერული თამაში, სადაც წარმოსახვითი სივრცე მსოფლიო მიზიდულობის ძალის არარსებობის პირობითაა კონსტრუირებული. ასეთ სივრცეში მიზიდულობის ცენტრი არ არსებობს და ამიტომ არ არსებობს არც ცნებები – „ზევით“ და „ქვევით“. გადაადგილება ვერტიკალურ ორიენტირებთან არ არის დაკავშირებული.

თუ ვინმე რეალურ სივრცეში გადასაადგილებლად იგივე ნაბიჯებს გადადგამს და ვერტიკალურ ორიენტირებს გააუქმებს, აუცილებლად ცხვირს წაიმტვრევს, ხოლო **თუ ვინმე პარლამენტის დეცენტრალიზაციას დააპირებს და ამას განახორციელებს კიდეც, შედეგად სხვა არაფერი მოხდება, თუ არა პოლიტიკური სივრციდან ამ ინსტიტუტის გაძევება, ანუ მისი მოსპობა.** მაგრამ აქ მხოლოდ ცენტრს კი არა, არამედ მთლიანად სივრცესაც არანაკლები საფრთხე ემუქრება. სწორედ პარლამენტის და პოლიტიკური საჯარო სივრცის მოსპობის ერთ-ერთი დასკვნითი აქტი იყო სხდომა, სადაც პარლამენტის ადგილსამყოფელის შეცვლის თაობაზე საკონსტიტუციო გადაწყვეტილებას განიხილავდნენ.

ნიშანდობლივია, რომ ამ საკითხის განხილვა თითქმის ცარიელ დარბაზში მიმდინარეობდა, რადგან გადაწყვეტილება მისი ინიცირებისთანავე ფაქტობრივად უკვე მიღებული იყო – არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა არც საკონსტიტუციო კანონის მისაღებ პროცედურებს და არც ამ გადაწყვეტილების მომხრეთა თუ მოწინააღმდეგეთა არგუმენტებს. და, საერთოდ, გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელობა აღარ ჰქონდაა ყოველივე იმას, რისთვისაც არსებობს პარლამენტი.

ამიტომაც მიუჩინეს მას ალაგი – **პარლამენტი რუსთაველის გამზირიდან ისევე გააძევეს, როგორც ომამდელი ტანკისტის კაბინეტიდან გაიტანეს გრენლანდიის უვარგისი სურათი. პარლამენტი გრენლანდიის სურათის მსგავსად გახდა ისეთი საგანი, რომლის ადგილის გამონახვა შექმნილ რეალობაში შეუძლებელია.** სურათის გამაგრება ვერც იქ, სადაც ეკიდა და ვერც ახალ კაბინეტში ველარ მოხერხდება – ერთხელაც იქნება, ჩამოვარდება და ბატონ ვასოს თავში დაეცემა. ისიც ნათელია, რომ როგორც გრენლანდიის სურათი ვერსად ჰპოვებს შესაფერის ადგილს, ასევე უადგილო და უსაზრისო იქნება 2012 წლის შემდეგ ქუთაისში „დეცენტრალიზებულად დისლოცირებული“ პარლამენტი.

ტელევიზიებით გადაიცემოდა ფრაგმენტები, სადაც ოპოზიცია ანეკდოტების მოშველიებით სვამდა შეკითხვებს პარლამენტის ადგილსამყოფელის შეცვლასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ და უმრავლესობისაგან კითხვის შესაფერის სადლაბუცო პასუხებსაც იღებდა.

**თურმე, ის 57 მილიონი, რაც დაჯდება პარლამენტის ახალი შენობის აშენება, მთლიანად ანაზღაურდება „მთავრობის სასახლის“ გაყიდვით – ასეთია გადაწყვეტილების მიმღებ ლიკვიდატორ-გამყიდველთა ურყევი ნება. აქ ლუის კეროლის ის პერსონაჟი უნდა გავიხსენოთ, რომელიც ბაკენბარდებს მწვანედ იღებავს და მერე დიდ მარაოს აიფარებს, რათა საზოგადოებას თავისი სახე დაუმალოს.**

დებატებად წოდებული მთელი ეს უბადრუკი მასკარადი პარლამენტის მოსპობის საბედისწერო პროცესში გათამაშებული ერთ-ერთი უკანასკნელი სატირკო წარმოდგენაა. სინამდვილეში კი ჩვენს წინაშე დასმული კითხვები ალბათ უკვე ასე ჟღერს: **საერთოდ, რაში გვჭირდება პარლამენტი – იმ სივრცის ცენტრი, რომელიც საბოლოოდ უნდა გაქრეს? ყველა გადაწყვეტილება უჩვენოდ უკვე მიღებულია და საერთოდ რაღა საჭიროა სივრცე საჯარო განსჯისათვის? მით უმეტეს, რაღა მნიშვნელობა აქვს ადგილს, სადაც უკვე მიღებული გადაწყვეტილება კანონად უნდა გაფორმდეს?**

როცა თავად გადაწყვეტილების მიმღები ინსტანცია პარლამენტის „დეცენტრალიზაციის“ შესახებ თავხედური არგუმენტებით საზოგადოებას აბუჩად იგდებს, ამით უთუოდ საკუთარ თავსაც არწმუნებს, რომ ღირსეული პასუხის გამცემი აღარავინაა. მართლაც: მას საფუძვლიანად მიაჩნია, რომ დიდი ხანია ქართული პოლიტიკური სივრციდან წარმომადგენლობითი ინსტიტუტები გაძევებულია და რიტორიკული შეკითხვა – ვის წარმოადგენენ დღევანდელი პარლამენტარები – იმთავითვე პასუხგაცემულია. **ისინი წარმოადგენენ არა ხალხს, არამედ ხალხის წინაშე გადაწყვეტილების მიმღები უზენაესი და ერთადერთ ინსტანციის წარგზავნილები არიან და იმ უზენაეს ინსტანციას წარმოადგენენ, რომელსაც დღეს პრეზიდენტი ეწოდება, ხოლო ხვალ – სხვა ნებისმიერი სახელი: პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე ან უბრალოდ მიშა.** 2008 წლის 20 იანვრის შემდეგ სხვა ცენტრი ამ უზენაესი ინსტანციის გარდა, აღარ არსებობს. მეტიც – მალე დღევანდელი გამრუდებული სივრცეც მოიშლება და ჰგიებს მხოლოდ იგი, ვითარცა ერთადერთი ნათელი წერტილი უკუნსა შინა. იგი ერთდროულად ინათებს და იდიდებს ყველგან: თბილისში, ქუთაისსში, ბათუმში, სიღნაღსა თუ ანაკლიაში. სწორედ ეს არის „დეცენტრალიზაციის“ არსი – **ამიერიდან დედაქალაქი ყველგანაა და ამიტომ – არსადაც აღარ არის. რაც შეეხება ე.წ. პარლამენტს, რომელმაც დათანხმდა და თავისივე გაძევების გადაწყვეტილება განიხილა, იგი იმთავითვე მოსპობილია.**

**თუ ვინმე კვლავაც იკითხავს – „გვეშველება რამე?“ – უნდა ვუპასუხოთ: თავი ვინუგეშოთ იმით, რომ ოდესმე ავირჩევთ იმას, რაც „მთავრობის სასახლეში“ ვარდებით შევარდნის შემდეგ ალბათ აღარც არსებობს და თუ ოდესმე ავირჩევთ, სივრცეც დაბრუნდება და მისი ცენტრიც.**

**დავით ზარდიაშვილის ბლოგი**



## პროდუქცია და ხარისხი

*ქვეყნის შიდა ბაზარზე მთელი საქონლის 80 პროცენტი რომ იმპორტირებულ პროდუქციას უკავია, ახალი ამბავი არ არის. ასეთი ვითარება ბაზრის, ფაქტობრივად, უკლებლივ ყველა სეგმენტშია, იქნება ეს სასურსათო, საყოფაცხოვრებო, სამრეწველო პროდუქცია თუ საწვავი. ამასთან, ზემოთ ნახსენები 80 პროცენტი კიდევ „კარგი“ მაჩვენებელია, რადგან ზოგიერთ სასაქონლო ჯგუფში, მაგალითად ენერგოშემცველებში, ეს მაჩვენებელი 100 პროცენტის ტოლია. თუმცა უბედურება მაინც ისაა, რომ ეროვნული ეკონომიკისთვის დამღუპველი და მოსახლეობისთვის ძვირიანი იმპორტული საქონლის დაუშვებლად მაღალი დონე ისეთ სასაქონლო ჯგუფებში გვაქვს, რა პროდუქციის წარმოებაც თავადაც თავისუფლად შეგვიძლია. მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სახეობის პროდუქციას ჯერ კიდევ არცთუ შორეულ წარსულში საკმაოდ დიდი მოცულობით ვაწარმოებდით. ასეთი სახეობის პროდუქციის დასახელება მრავლად შეიძლება, მაგრამ დღეს ყურადღება ჩაის გვინდა მივაქციოთ.*

# ვითომ „ლიპტონს“ რატომ ვერ უნდა ვაჯობოთ?!

ჯერ კიდევ 8-9 წლის წინათ, მაშინ, როცა საქართველოსთვის ბუნებრივი გაზის ერთ-ერთი მთავარი მომწოდებელი თურქმენეთი იყო, წლების მანძილზე მოწოდებულ ენერგოშემცველთან დაკავშირებით მეტად სოლიდური სახელმწიფო დავალიანება დაგვიგროვდა, რომლის „ნელა-ნელა“ გასტუმრებას შუა აზიის ამ სახელმწიფოსთვის ბარტერის წესით „ავიამშენში“ მოძველებული საბჭოთა ავიაგამანადგურებლების შეკეთებითა და ჩაის მიწოდებით ვცდილობდით, უფრო სწორად ვწვალობდით. ავიატექნიკის შეკეთებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ის კი დანამდვილებითაა ცნობილი, რომ ჩაი დაბალი ხარისხისა იყო, ამდენად სრულფასოვანი ბარტერი არაფრით არ გამოდიოდა...



ეს არც ძალიან ძველი ამბავი იმის საილუსტრაციოდ გავიხსენეთ, რომ საქართველოში ხარისხიანი ჩაი, სამწუხაროდ, დიდი ხანია აღარ იწარმოება. ბოლო დროს „ჩაის ასოციაციის“ სპეციალისტების მიერ ჩატარებული გამოკვლევით დადგინდა, რომ **ქვეყნის შიდა ბაზარზე ყოველწლიურად დაახლოებით 1200 ტონა ჩაის მოხმარების პირობებში ქართულ ჩაის წილი ამ მოცულობის მხოლოდ 8-10 პროცენტს თუ შეადგენს, რაც კატასტროფულად ცოტაა მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ შემოტანილი ჩაის უდიდესი ნაწილი ძალიან დაბალი ხარისხისაა. საექსპერტო შეფასებით, საქართველოში იმპოტირებული ჩაის 80 პროცენტი ფალსიფიცირებული და ვადაგასული საქონელია.**

### ინფორმაცია თემაში

**საქართველოში ჩაის ძირითადი იმპორტიორები არიან „აზერჩაი“, „ლიპტონი“ და „გრინფილდი“, თუმცა არიან სხვებიც. ყველაზე მსხვილი იმპორტიორი „აზერჩაი“ სამი ბრენდითაა წარმოდგენილი – „მარიამი“, „ფინალი“ და „აზერჩაი“. ყველაზე მეტი გამყალბებელი ინგლისურ „ლიპტონს“ ჰყავს, „გრინფილდს“ კი რუსეთში აფასოებენ და მერე ჩვენთან იქიდან შემოაქვთ.**

არადა, მსოფლიოში ჩაიზე მოთხოვნილება ყოველწლიურად იზრდება, თუმცა აბსოლუტური ტემპით თუ ვიმსჯელებთ, მას მნიშვნელოვნად ყავა უსწრებს. მაგრამ, ბუნებრივია, ორივე სასმელს თავიანთი მოხმარების სფერო და ტრფიალი ჰყავს, ასე რომ, ისინი ერთმანეთს ხელს ნაკლებად უშლიან.

საიმისოდ, რომ ქართულმა ჩაიმ „მშობლიური“ ბაზარი კვლავ დაიბრუნოს, ამისათვის საკუთრივ მისი ხარისხი მკვეთრად უნდა ამაღლდეს, რაც ბუნებრივად უნდა მოხდეს და არა უცხოური (ინდური, ცეილონური) მაღალხარისხიანი ჩაის შერევით, როგორც ეს საბჭოთა პერიოდში ხდებოდა. თანაც, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ **თუ ხარისხის ამაღლებით ქართული ჩაი ყოველწლიურად შიდა ბაზრის დაახლოებით 10 პროცენტს დაეუფლება, უხარისხო უცხოური პროდუქციის ნაკადი ქვეყანაში თანდათანობით თავისით შემცირდება.** ვიმეორებთ, ლაპარაკია მხოლოდ ფალსიფიცირებულ და ვადაგასულ უცხოურ ჩაიზე, რომლის მოხმარება ჯანმრთელობისთვის სახიფათოა და მისი მავნე ზემოქმედების გაუვნებელყოფას ვერანაირ სამოვართან „ხელოვნებაზე ლაპარაკი“ ვერ შეძლებს. ცალკე აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მიზნის შესასრულებლად საქართველოში ჯერ კიდევ საკმარისადაა შემორჩენილი სათანადო ინფრასტრუქტურაც და შესაბამისი სამეცნიერო თუ პრაქტიკოსების კადრები. ამას გარდა წმინდა წყლის ეკონომიკური ინტერესებისა (წარმოების განვითარება, გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად გამართვა, სათანადო შიდა და საერთაშორისო მენეჯმენტი და მარკეტინგი, რეკლამა და ა.შ.ძ, კიდევ ჯანმრთელობაზე ზრუნვის უაღრესად მნიშვნელოვანი ასპექტი აქვს. საქმე ის არის, რომ **ჩაის – აუცილებლად ხარსხიანი ჩაის! – ბუნებრივ საფუძველზე დამზადებულ მატონიზებელ სასმელებს თავისუფლად შეუძლია ბაზრიდან მთლად თუ არ გააძევონ, მნიშვნელოვნად შეავიწროონ ჯანმრთელობის უაღრესად მავნე ამავე ტიპის, ოღონდ ქიმიურ საფუძველზე დამზადებული სასმელები, რომელთა საყოველთაოდ ცნობილ ბრენდებს შეგნებულად არ ვასახელებთ, რათა ანტირეკლამასა და არაკორექტულ მოქცევაში არ ჩაგვითვალონ.**

აქვე გვინდა ერთი სასარგებლო რჩევა მოგცეთ, პატივცემულო მკითხველო. თუ, ვთქვათ, ვიზუალურად გაგიჭირდათ იმის დადგენა, ფალსიფიცირებული ან ვადაგასულია ჩაი თუ კარგი ხარისხისაა, გახსოვდეთ, რომ ნაღდ ჩაის არაჩვეულებრივი გემო და მშვენიერი არომატი ახლავს, უხარისხოს კი – ცუდი გემო და არავითარი არომატი არა აქვს.

**ოთარ ტურაბელიძე**

## ინფორმაცია

### თორთლაძემ რაღაი ხელი მოაწერა, საარჩევნო გარემო გაუმჯობესდება

**საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების შესახებ შემუშავებულ დოკუმენტს, რომელსაც მმართველმა და ხუთმა ოპოზიციურმა პარტიამ ხელი მოაწერა, კიდევ ერთი პოლიტიკური სუბიექტი შეუერთდა. ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გუშინ საქართველოს დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი იმყოფებოდა, რომელმაც დოკუმენტზე საკუთარი თანხმობა ასევე ხელმოწერით დაადასტურა.**

**– ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს არის საკმაოდ მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს საარჩევნო კოდექსის დახვეწას და მომავალი არჩევნები ჩატარდება უფრო სამართლიან გარემოში, – განაცხადა გია თორთლაძის თანაგუნდელმა.**

**საარჩევნო კოდექსისა და გარემოს გაუმჯობესების შესახებ ხანგრძლივი მოლაპარაკებები ოპოზიციასა და მმართველ გუნდს შორის საგანგებო დოკუმენტის ხელმოწერით დასრულდა. დოკუმენტს ხელი მმართველი პარტიის გარდა „ახალმა მემარჯვენეებმა“, „ქრისტიან-დემოკრატებმა“, მოძრაობამ „ჩვენ თვითონ“, „ეროვნულ დემოკრატიულმა პარტიამ“, „მრეწველებმა“ მოაწერეს.**

**ჯი-ეიჩ-ენი**

ტკივილი

**„შეფიცულთა“ რაზმის მეთაური, მსახიობი გია ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ დღევანდელი ოპოზიციური პარტიები მუსტაფა შელიას ფრჩხილად არ ღირს, რადგან ეს მამულიშვილი იმ დროს იბრძოდა, როცა 37 წლის რეპრესიების შემდეგ საქართველოში ბრძოლას ველარ ბედავდნენ.**

# გია ბურჯანაძე:

# ბევრი ქართველის იმედი არასდროს მქონია

**— თქვენ აცხადებთ, რომ „სახალხო კრებაში“ აგენტურა იყო შემოპარული, რის შესახებაც თქვენ არ იცოდით...**

— ახლაც, რომ გესაუბრებით, ჩვენს ირგვლივ ორი ბიჭია შემოპარული, აქაც არიან. ამაშია უბედურება, ჩვენ მივეჩვიეთ, რომ დამსმენი ჩვეულებრივი ამბავი გახდა. შესაძლოა, ჭკვიანი ხელისუფალის ხელში დაკარგული ტერიტორიები ოდესმე დავიბრუნოთ. არც იმას გამოვრიცხავ, ისეთი სიტუაცია შეიქმნას, რომ ტერიტორიები ისე მივიღოთ, როგორც ეს ბათუმის ოლქთან მიმართებით მოხდა. მაშინ წესიერი ქართველები აღმოჩნდნენ მენშევიკურ არმიაში და რამდენიმე ბოლშევიკმაც იფიქრა, რატომ გავატანოთ მიწა-წყალი თურქეთსო?!

თუმცა, ამ ხელისუფლების ყველაზე დიდი დანაშაული, ტერიტორიების დაკარგვის შემდეგ არის ის, რომ მან საზოგადოებაში ღრმა უფსკრული გათხარა. დღეს ხალხს რომ იარაღი დაურიგო, შესაძლოა, ქართველებმა ერთმანეთი დახოცონ. აგერ, სახალხო არტისტი ოთარ კობერიძე ჩვენი მისამართით იძახის, უნდა ჩამოახრჩოთ ეს ხალხიო. მისი ხელით მეც, ნონაც, რეზოც, სოსოც, ლუკაც მკვდრები ვართ. უბრალოდ, იარაღი და უფლება არ აქვს, თორემ მოგვკლავდა. წარმოიდგინეთ, ამხელა უფსკრულია. იმ ბიჭებს, ვინც ასე აწამეს და ვინც შეურაცხყოფილია, ჯვარი სწერიათ, მაგრამ ხომ შეიძლება, ისე გადაუტრიალდეთ გონება, როცა საშუალება მიეცემათ, მათ გაუსწორდნენ. საზოგადოებაში ერთმანეთის მიმართ უდიდესი ზიზღია, გახლეჩილია ხალხი.

**— სოსო ჯაჭვლიანის პატიმრობის დროს, ხელოვანმა ადამიანებმა მის გათავისუფლების მოთხოვნაზე ხელის მოწერა ვერ გაბედეს, როგორ ფიქრობთ, ეს შიში იყო, თუ პოზიცია?**

— 1983 წელს თვითმფრინავის ბიჭებთან დაკავშირებით ხელმოწერები გროვდებოდა. ადამიანები მოითხოვდნენ, სიკვდილით არ დაესაჯათ ახალგაზრდები, რომელთაც ბევრი სიკეთე შეეძლოთ გაეკეთებინათ საქართველოსთვის. მაშინ სახელოვნებო წრეებიდან მათი გადარჩენის დოკუმენტს ხელი ყველამ მოაწერა. გეგა ჩემი მეგობარი იყო, ერთი კურსით უკან სწავლობდა. დანარჩენებსაც ვიცნობდი, სოსო წერეთელთან ვმეგობრობდი. გადასარევი ბიჭები იყვნენ, მაგრამ მოხდა ასეთი ცუდი ამბავი და უდანაშაულო ხალხი დაიხოცა. ბრეჟნევის დრო იყო, ანდროპოვი გახლდათ კგბ-ს უფროსი, სსრკ-ში როგორი წყობა იყო, იცით? ამის მიუხედავად, მაშინ არ შეეშინდა ხალხს და ხელი მოაწერეს მოთხოვნას. დღეს კი, უდანაშაულო სოსო ჯაჭვლიანის გათავისუფლებაზე ხელს რომ არ აწერენ, ამას რა ჰქვია? ამას ჰქვია ქვეშაფსიობა.

**— თქვენს მიერ ბოლო დროს გაკეთებულმა განცხადებებმა სკანდალური სახე მიიღო. ქართველმა ერმა იმედი გადაგიწურათ?**

— ამ რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთი გაზეთის ჟურნალისტმა ჩემგან ინტერვიუ ჩაიწერა. რა მაქვს დასამალი და რასაც ვფიქრობდი, ის ვილაპარაკე. „ტელეიმედმა“ ჩემი ნათქვამი პირველ სიუჟეტად გაიტანა. ვამბობდი, მაპატიეთ და, „ქაქშია“ ქართველი ერი-მეთქი და ატყდა ერთი ამბავი. განა არ არის? კარგი, ტერიტორიების დაკარგვასა და პატრიოტულ თემებზე უკვე აღარ მაქვს ქართველებთან საუბარი, რადგან აღმოჩნდა, რომ ქართველი ერისთვის, ისევე, როგორც სააკაშვილისთვის, მართლაც ქვების გროვა და სალი კლდეები ყოფილა ცხინვალი და აფხაზეთი, კოდორი და ახალგორი. ჩემთვის კი არ არის ეს სალი კლდე და ქვების გროვა. გასაგებია, ქართველებისთვის მარტო ჭამამდე დავიდა საქმე. თუნდაც, საჭმლის გამო გეკითხებით, როდესაც ხორცი 20 ლარი ღირს და ნოემბრისთვის 35 ლარი გახდება, რატომ გაჩუმებულან? ელექტრომრიცხველის მიხედვით დასუფთავების გადასახადს გვიწესებენ. ხმას არ იღებს არავინ. როდესაც მასწავლებლებს უჭირდა, მაშინ გარემოვაჭრეები არ გავიდნენ, რადგან სხვადასხვა მენტალობა აქვთ. პროფესურას როცა უჭირდა, მასწავლებლები არ ამოუდგნენ. გახსოვთ, პროფესურა როდესაც უნივერსიტეტში ჩაკეტეს და „ხულიგანი“ პროფესორები გაასამართლეს? იქ ბევრი ჩემი მეგობარია, რომლებზეც თავს დავდებ, რომ ხულიგნები ნამდვილად არ არიან, სწავლულები, მეცნიერები და ქართველები არიან. ცალკე ექიმები, ცალკე ხელოვანები გაათითოკაცეს, ნელ-ნელა დააპატარავეს და დაამცირეს. ხელისუფლების მიერ მოვლენილი პარტიები კი თავის საქმეს აკეთებენ.

**— ყველაზე მეტი პრეტენზია „სახალხო კრებას“ ქართული პარტიის მიმართ ჰქონდა, რატომ?**

— „ქართული პარტია“ რისთვისაც შეიქმნა, ახლა გამჟღავნდა. მან გააკეთა თავისი საქმე და დაიშალა. უბრალოდ, ლევანისა და კოკას განცდა მაქვს, რადგან ვთვლი, რომ ისინი კარგი ქართველი ვაჟკაცები არიან და არ უნდა მოხვედრიყვნენ იმ კამპანიაში, რასაც ეროსი და ოქრუაშვილი ჰქვია.

**— ეროსი კიწმარიშვილი აცხადებს, ოქრუაშვილი 24 მაისს ჩამოსვლას აპირებდა და ნინო ბურჯანაძესთან გაუგებრობის გამო თავი შეიკავაო...**

— კარგით რა, გჯერათ ახლა? ან კიდევ, ბოლოდროინდელი ტელეკადრების გჯერათ? 200 კაცი რომ უნდა ჩაესვათ, ერთ რუსის „გრუ“-ს ამათი ოთხი ავტომატი სჭირდება? საწყალი გრუ-ს სპეცნაზი, თურმე მოდის და ოთხ ავტომატს ქართველები თუ არ დაახვედრებენ, ვერაფერს გააკეთებს.

**— ბოლო დროს თქვენი განცხადებები უფრო ნიჰილისტურია.**

— ბოლო დროს რატომ? გადახედეთ ყველა ჩემს გამოსვლას. ორი, ხუთი წლის წინათაც ვიძახდი, მე ქართველი კაცის იმედი არ მაქვს. რამდენიმე კაცზე, ორი ათასზე, ხუთი ათასზე შემიძლია ვთქვა, რომ ისინი კაცები არიან, მაგრამ სამ მილიონიან ერში 5 ათას კაცზე რომ არის მარტო საუბარი, იმას ერი აღარ ჰქვია.

**— მაშინ რა გამოძრავებთ?**

— მე ღმერთის იმედი მაქვს. არა იმის, რომ ქართველები რამეს გააკეთებენ.

**— ლიდერებიდან ვისი გეიმედებათ?**

— ჩემთვის ლიდერები არ არსებობენ. არ ვართ ტომში და ტომის ბელადები არ გვჭირდება. მე არ ვარ პარტიის წევრი და არც ვაპირებ რომელიმე პარტიაში ყოფნას, ამიტომ, ლიდერობა ჩემთვის არაფერს ნიშნავს. ჩემთვის მთავარია პიროვნებები. ყველა ადამიანი საკუთარი საქციელით იზომება. „ხე ნაყოფით იცნობა, ნაყოფი — ხითაო“. არიან ადამიანები, ვისიც არ მწამს. მით უმეტეს, ასეთი ხელისუფლების პირობებში, რომელ ლიდერზეა ლაპარაკი?! ყველანი მერკანტილური ინტერესებით არიან. „რვიანის“ მაგალითი აიღეთ. გადაუგდეს 25 ადგილი და ამაზე ხოცავენ ერთმანეთს და 60 მილიონი ჰქონიათ გასაყოფი.

**— იმ დროს, როცა ხალხი აქციებზე მასობრივად არ გამოდის, ბრძოლას მაინც აქვს აზრი? პირადად თქვენ რას აპირებთ?**

— მუსტაფა (ლევანძ შელიას (ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ ხელმძღვანელიძ დროს არავინ იბრძოდა საქართველოში, რადგან 37 წელს დამთავრებული იყო ყველაფერი, ახალი თაობის დისიდენტები კი, ჯერ კიდევ არ იყვნენ. მუსტაფა შელიას ენკავედემ სდია და ბოლოს, მაშინდელი ენგელსის ქუჩაზე, სადაც იმალებოდა, იქ დახვრიტა. ახლა ვინმე მეტყვის, რომ მუსტაფა შელია არ არის ვაჟკაცი? ამ გადასახედიდან, მთელი ეს პოლიტიკური სპექტრი, ერთად აღებული, მუსტაფა შელიას ნეკის ფრჩხილად არ ღირს. ის მაშინ იბრძოდა ბოლომდე, როცა არავინ იბრძოდა.

**— ალბათ, ასეთივე იყო კოტე აფხაზი, რომელიც სპექტაკლ „ქაქუცა ჩოლოყაშვილში“ განასახიერეთ...**

— კოტე აფხაზის დროს ძალიან დიდი ვაჟკაცები იყვნენ. იქ იყო გიორგი კვინიტაძე, გიორგი მაზნიაშვილი, სუმბათაშვილი, დავით ჭავჭავაძე. გენიოსი გენერლები გვყავდა, რომლებმაც აჭარა გადაარჩინეს. ამ დროს კი, მათი მთავრობა გარბოდა. მაშინდელი პარტიების საქციელიც წარმოიდგინეთ, „სოციალ-დემოკრატებმა“ საკუთარ ცხენებს გაასწრეს პორტ-არტურიდან. როდესაც ჟორდანიას მთავრობა გაიქცა, მისი მთავრობის გენერალიტეტი დარჩა, ბოლომდე იბრძოდა და ბათუმის ოლქი გაათავისუფლა.



სხვათა შორის, კომუნისტებთან, ბოლშევიკებთან ერთად დარჩნენ, რადგან იმ ბოლშევიკებშიც ქართველები უფრო მეტნი ყოფილან, ვიდრე დღეს მთელ პოლიტიკურ სპექტრში. სწორედ მათ გამოა, რომ ბათუმი დღეს საქართველოს ტერიტორიის შემადგენლობაშია. დღეს ჩვენი ხელისუფლება ყიდის აჭარას და ქართველები ხმას არ ვიღებთ. ასეთი ერი ვართ. 26 მაისს კი არ მოხდა ეს ამბავი, წინა საუკუნეებშიც ასე ხდებოდა. ერეკლეს ამბავი გაიხსენეთ, 1795 წელს კრწანისის ომში ჯარი არ ჰყავდა, ამ დროს კი, მის დაკრძალვას მთელი საქართველო ესწრებოდა.

**— თუ ქართველი ერი საიმედო არაა, მაშინ როგორ გაუძლო საუკუნეებს?**

— როგორ და აგერ, მუსტაფა შელიასნაირი კაცების იმედად. ბიბლიური ლოტის ისტორია გაიხსენეთ, სოდომისა და გომორის ამბავი. რატომ ამოწყვიტა უფალმა ორი ვეებერთელა ქალაქი? ლოტის ოჯახი კი რატომ გამოიყვანა? იმიტომ, რომ ლოტი მართალი კაცი იყო.

**— მთელ მსოფლიოში ასეა, ყველგან ერთეულები ქმნიან ისტორიას.**

— არა, ჩემო კარგო. თუნდაც ევროპულ ნორმალურ ქვეყნებში საზოგადოება ჩამოყალიბდა. აგერ, აფრიკულ ქვეყნებშიც ჩამოყალიბდა საზოგადოება. საქართველოში კი არ გვყავს. შემიძლია, რამდენიმე ქართველ ვაჟკაცზე გელაპარაკოთ, მაგრამ მშიშარა, გამყიდველ, ჩამშვებ კაცებზე რა გითხრათ?!

**— უცხოეთს რისი გაკეთება შეუძლია საქართველოსთვის?**

— რუსული ანდაზაა, რომ უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია. ტყუილად არავინ დაგვეხმარება. უცხოეთის იმედად როგორ უნდა იყო? უცხოეთი რაღაცას თუ გაგიკეთებს, მერე წაიღებს კიდეც. იმიტომაც მიაქვთ. თქვენ რა გგონიათ, არ მიაქვთ? ტერიტორიები ნახეთ, რუკას შეხედეთ, არ წაიღეს? რუსეთმა არ წაიღო?

**— ნინო ბურჯანაძე ამჟამად ბრიუსელში მართავს შეხვედრებს. მაშინ რა აზრი აქვს მის უცხოეთში ვიზიტებს?**

— ეს დროის ამბავია. ეგვიპტის შესახებ შეფასებები რამდენიმე კვირის შემდეგ გაკეთდა. მოგვიანებით გამოვიდა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი და განაცხადა, ჩვენ ეგვიპტელი ხალხის მეგობარი ვართ და არა რეჟიმებისო. ქართველ ხალხს არ აქვს რეაქცია, რაც მის ქვეყანაში ხდება, და რატომ ექნება ვიეტნამელს? დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს როცა შევხვდით, პირდაპირ ვკითხე, იქნებ ამიხსნათ, რაც მსოფლიომ ეგვიპტელ ხალხს დემოკრატიისთვის ბრძოლად ჩაუთვალა, ქართველი ხალხისთვის რატომ არის დანაშაული-მეთქი? ჰუსეინი რომ დიქტატორი იყო, ეს 20 წლის მანძილზე მთელმა მსოფლიომ იცოდა, მაგრამ რამდენი დრო დასჭირდათ იმისთვის, რომ მისულიყვნენ იმ აზრამდე, რომ მისი ატანა აღარ შეიძლებოდა? ხვალ არჩევნები თავისუფალ გარემოში რომ ჩატარდეს, ერთი კაცი მაინც მანახეთ, გიორგი თარგამაძის პარტიას ხმას რომ მისცემს. გარდა მათივე ოჯახის წევრებისა.

**— რადგან საზოგადოებაში საპროტესტო განწყობა არ არის, „სახალხო კრებამ“ ამოწურა რესურსი?**

— როგორ შეიძლება, „სახალხო კრებამ“ ამოწუროს საკუთარი რესურსი? „სახალხო კრება“ პირველი კი არ არის საქართველოში. ეგეთი რამეები ხდება, ხან აღზევდება, ხან დარბევის შემდგომ პერიოდს გადის.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ იმ ტრაგიკულ ღამეს რუსთაველის კინოთეატრში მომხდარის შესახებ თავად შსს-ს მიერ გადაღებული კადრები არსებობს. თქვენი მონაცემებითაც ასეა?**

—შსს-ს მიერ გადაღებულ კადრებს ვინ გვაჩვენებს? შსს მერე გაუშვებს უნიჭოდ დადგმულ კინოებს და რაც რეალური კადრია, იმას გვაჩვენებს? თავის დანაშაულს გამოავლენს?

**— გოგა ხაინდრავამ აშშ-ის ელჩის ჯონ ბასის მიმართ მოთხოვნა გაავრცელა, რომ მან უნდა დატოვოს საქართველო, რადგან არ გადასცემს ზუსტ ინფორმაციას. თქვენი აზრით, ჯონ ბასი რეალობას ალამაზებს?**

— ტეფტი რომ იყო, რამე უკეთ იყო საქართველოში? ქართველების ხელით აშშ თავის საქმეს აკეთებს, რუსეთი — თავისას. ოღონდ ეს ქართველები სულაც არ არიან ისინი, ამ დღეებში რომ დაიჭირეს, ოთხი ავტომატით რომ ელოდებოდნენ თურმე რუსეთის სპეცნაზს. პირიქით, რუსებისა და ამერიკელების ხელი არის ჩვენს ხელისუფლებაში. ამ ყველაფერში ჯონ ბასიც ისეთივე ჭანჭიკია, როგორიც თვითონ ეს ხელისუფლება. არ იქნება ბასი, იქნება ბუში. რა მნიშვნელობა აქვს? სანამ ქართველი ერი არ მოინდომებს კარგად ცხოვრებას, ტყუილად ვაბრალებთ, რომ ვიღაც ელჩი ან რომელიღაც ქვეყანა არის დამნაშავე. პირველ რიგში, ქართველები ვართ დამნაშავე, რადგან ვიმსახურებთ იმას, რაც გვაქვს.

**მანანა ნოზაძე**

ინფორმაცია

## საგადასახადო ინსპექტორს უფლებებს უზრდიან

**ალნიშნულთან დაკავშირებით ფინანსთა მინისტრის ბრძანება უკვე გამოიცა, რომლის თანახმადაც, კერძო საგადასახადო ინსპექტორი უფლებამოსილია განახორციელოს საკონტროლო შესყიდვა შემდეგი საგადასახადო სამართალდარღვევების გამოვლენის მიზნით: მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გარეშე მუშაობა; მომხმარებელთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას საკონტროლო-სალარო აპარატის გამოუყენებლობა; ჩეკში ფაქტობრივად გადახდილზე ნაკლები თანხის ჩვენება; გადასახადის გადამხდელად აღრიცხვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევა.**

**ამასთან, კერძო საგადასახადო ინსპექტორი საკონტროლო შესყიდვას ახორციელებს საკუთარი სახსრებით როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით და საკონტროლო შესყიდვისას გადახდის საშუალებად ეროვნულ ვალუტას გამოიყენებს.**

**კერძო საგადასახადო ინსპექტორმა საკონტროლო შესყიდვის განხორციელებისთანავე გადასახადის გადამხდელს უნდა წარუდგინოს შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული კერძო საგადასახადო ინსპექტორის მოწმობა.**

**საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, კერძო საგადასახადო ინსპექტორი საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს შეადგენს და ვალდებულია, რომ ეს ოქმი პროცედურის განხორციელებიდან არა უგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა, საგადასახადო ორგანოში წარადგინოს.**

ჯი-ეივ-ენ

ორი აზრი ერთ საკითხზე

# რუსული დოქტრინის არეშიძისეული ქართული ვარიანტი

**„საქართველოს რესპუბლიკის“ მიმდინარე წლის 23 ივნისის ნომერში დაიბეჭდა „კავკასიის საკითხებში ექსპერტ“ მამუკა არეშიძის სტატია, სათაურით „აფხაზეთის დამოუკიდებლობა უნდა ვაღიაროთ“, რომელიც თავისი შინაარსით თავზარდამცემი, შემაძრწუნებელი და შეურაცხმყოფელია ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის (როგორც ცოცხლებისათვის, ისე იმ გმირებისათვის, რომლებმაც თავი შესწირეს საქართველოს მთლიანობის იდეას).**

ბატონ არეშიძის სტატია და მასში გამოთქმული „იდეები“ იმდენად ანტიქართული და მოღალატეობრივია (თანაც ეს ღალატი ისე აშკარაა, რომ მისი უკუგდება არც თუ ისე ძნელია, მაგრამ სინამდვილეში მის მიერ წამოყენებული გამცემლური „თეორიის“ გაცამტვერება ამ „თეორიის სარგებლობის სამტკიცებლად“ მოხმობილი მისივე არგუმენტების უკუგდებისა და საფუძვლიანი კრიტიკის გარეშე შეუძლებელია.

ამიტომ ბოდიშს მოვუხდი მკითხველებს იმისთვის, რომ მათ თითქოს ვაიძულებ ჩემი სტატიის წაკითხვით ერთხელ კიდევ „გაეცნონ“ ბ-ნ მ. არეშიძის ყალბი „დოქტრინის“ გასამართლებლად მისივე მიერ წამოყენებულ უღღეურ არგუმენტებს, აი ეს მარგალიტებიც:

1. „ახალი დოქტრინის“ ავტორის ვარაუდრით, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დარეგულირების პროცესი თურმე ჩიხშია შესული. ამიტომ მისი აზრით პროცესის ჩიხიდან გამოყვანისათვის აუცილებელია თვით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის (ე. ი. სახელმწიფოს ნგრევის რუსეთისეული თეორიისძ სრული მხარდაჭერა თვით საქართველოს მიერ. თავისი ბრწყინვალე მიხვედრით ის გვარწმუნებს, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთი სავსებით სამართლიანად დაესხა თავს საქართველოს, დაუნგრია ქალაქები და სოფლები და დაუხოცა 500-600 ჯარისკაცი და მშვიდობიანი მოქალაქე.

— ასევე რუსეთი მართალი იყო მაშინაც, როცა მოახდინა საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპაცია, რითაც სამართლიანად იქნა ხელყოფილი საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. და რაც არსებითია, მამუკა არეშიძე ამტკიცებს, რომ „დიდი რუსეთი მართალი იყო იმაშიც, როცა მან აღიარა აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რასაკვირველია საქართველოს ხარჯზე“. გამოდის, რომ ქართველები უმადურები ვართ: მადლობის მაგივრად, რასაც თურმე რუსეთი იმსახურებდა იმ ნგრევისათვის, მას „უსამართლოდ“ ვაკრიტიკებთ და აგრესორსა და ოკუპანტს ვეძახით.

ახლა ვნახოთ მ. არეშიძის მეორე „ბრწყინვალე არგუმენტი“, რომლითაც ის ცდილობს, დაგვარწმუნოს რუსეთის ქმედობათა სამართლიანობაში საქართველოს მიმართ. მისი მტკიცებით, „სადღეისოდ აფხაზეთი საქართველოსთვის დაკარგულია“, „პროცესი“ კი ჩიხშია შესული. ყოველივე ამის შედეგად რუსეთი თითქოს „დისკომფორტს“ განიცდის, ჩვენ, უმადური ქართველები, თურმე ვალდებულნი ვართ რუსეთს ეს დისკომფორტი მოვუხსნათ, რისთვისაც თურმე საჭიროა თვით ქართველებმა ვცნოთ აფხაზეთის დამოუკიდებლობა, რითაც მართალია საქართველოს სახელმწიფოებრიობას ვანგრევთ, მაგრამ სამაგიეროდ რუსეთს დისკომფორტს მოვუხსნით!!! ვინ მიგდია აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია და სხვები, რომლებიც რუსეთისგან მოითხოვენ, პატივი სცენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს... გაიყვანოს საოკუპაციო ჯარები საქართველოდან და უკან წაიღოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი აღიარება...

ამ ახალი „დოქტრინის“ მესამე და სხვა არგუმენტები განსაკუთრებით შეურაცხმყოფელია არა მარტო ქართველი ხალხისთვის, არამედ ჩვენი მოძმე აფხაზებისთვის: მ. არეშიძე მესამე არგუმენტში გვთავაზობს, მოვატყუოთ აფხაზები და ჩვენი მხრიდან აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებით მივაღწიოთ ყველა ქართველი დევნილის დაბრუნებას.

აფხაზებს ერთი მშვენიერი გამონათქვამი აქვთ: „ჭკვიანები გველს სულელების ხელით იჭერენ“, გამოდის, რომ მამუკა არეშიძე ცდილობს აფხაზების მოტყუებით, მათივე ხელით მიაღწიოს ლტოლვილთა დაბრუნებას. გაუგებარია, ვინ არის აქ ჭკვიანი და ვინ არის ბრიყვი. „დოქტრინა“, საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების აუცილებლობის შესახებ, ჩვენ მიგვიყვანს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სრულ ნგრევამდე, რამეთუ ასეთივე „დამოუკიდებლობას“ უეჭველად მოითხოვენ (და ალბათ მიიღებენ კიდეცძ სომხები მესხეთ-ჯავახეთში, აზერბაიჯანელები — მარნეულში და სხვა რაიონებში. არეშიძის ლოგიკიდან გამომდინარე, არც ისაა გამორიცხული, „ასეთივე დამოუკიდებლობა“ მოითხოვონ თვით ძირძველმა ქართველებმა — მეგრელებმა, სვანებმა და ასე შემდეგ. და მაშინ მშვიდობით საქართველოს ერთიანობავ და დამოუკიდებლობავ. მ. არეშიძე, მისდა საუბედუროდ, ვერ აცნობიერებს, რომ როგორც კი საქართველო აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს, იგი იურიდიულ უფლებას იძენს, უარი თქვას ქართველი დევნილების აფხაზეთში დაბრუნებაზე და არა პირიქით, როგორც ამას მიიჩნევს ეს დიდებული ექსპერტი.

და კიდევ: მ. არეშიძე სტატიაში მოხსენიებულია როგორც ექსპერტი კავკასიურ საკითხებში, მართლაც საცოდავია ქართველი ხალხი ასეთი „ექსპერტების“ ხელში, ისეა, როგორც ეს ანდაზაშია ნათქვამი: ღმერთო, შენ დამიფარე სულელი მოყვრებისაგან, ხოლო ჭკვიან მტერს მე თვითონ გავუსწორდებიო.

ვაღიარებ, წერილი ზედმიწევნით მკვახე გამომივიდა, თუმცა ასეთი „დოქტრინა“ და მისი ავტორი უფრო მეტსაც იმსახურებს. და მაინც, მე როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი, მივუტევებ მას და ბოდიშს მოვუხდი ასეთი უნებლიე უხეშობისთვის.

**დავით დოლბაძე,**
სამართლის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

პოლიტიკა და საზოგადოება

# დრო ჩვენს სასარგებლოდ არ მუშაობს



**„ქართველები მთლიანად დავკარგავთ აფხაზეთს, ხოლო აფხაზები „გაქრებიან“ უზიხებივით“**

**„კელასურის შეთანხმება“ რუსებს რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური აგრესიის შანსს არ დაუტოვებს“**

**რუსეთი ძალას არ იშურებს, რომ საქართველოსგან მოგლეჯილ ორ ტერიტორიაზე მყარად მოიკიდოს ფეხი. რა შეცდომები დაუშვა ხელისუფლებამ სეპარატისტულ რეგიონებში და რას უნდა ველოდეთ მომავალში? — ამ საკითხებზე პოლიტოლოგი ჯუმბერ კირვალიძე გვესაუბრება:**

— „კვირის პალიტრაში“ (3-9 აგვისტო, 2009) გამოქვეყნებულ ინტერვიუში რეინტეგრაციის მინისტრი თემურ იაკობაშვილი აცხადებს: დროა, აფხაზებმა და ოსებმა აღიარონ, რომ მათი ერთადერთი მეგობარი საქართველოაო“. რეინტეგრაციის „მეტრი,“ ბატონი მინისტრი მკაცრად მოითხოვს, რომ აფხაზებმა და ოსებმა „რეალობას თვალი გაუსწორონ“... კი მაგრამ, რას აკეთებს ხელისუფლება იმისთვის, რომ აფხაზმა და ოსმა ჩვენკენ მოიხედონ და აღიარონ, რომ მართლაც საქართველოში ყოფნაა მათი ხსნა? ბატონ თემურს ვურჩევ, თვითონ „გაუსწოროს თვალი იმ რეალობას“, რომელშიც ხელისუფლების წყალობით ქვეყანა ჩავარდა. აფხაზი მინისტრის, შამბას ნათქვამზე, ნუ დაგვტოვებთ რუსეთთან მარტოო“, ქართველ მინისტრს უნდა ეპასუხა, -“ არ დაგტოვებთო“, მაგრამ ამჟამინდელი ხელისუფლების უკანასკნელი 4-5 წლის განმავლობაში საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში გატარებულმა პოლიტიკამ ქვეყანას კატასტროფული შედეგები მოუტანა. რუსეთმა, რომელიც ფორმალურად მაინც აღიარებდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა ცნო და მათი ოკუპაცია მოახდინა. ნაცვლად იმისა, კოსოვოს ცნობის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას რუსეთთან სიფრთხილე გამოეჩინა, უფრო გაძლიერდა დაძაბულობის ესკალაცია. სააკაშვილის ცალმხრივი საგარეო პოლიტიკა საქართველოს ვერასოდეს დაუბრუნებს დაკარგული ტერიტორიების ვერც ერთ სანტიმეტრს!

აგრესორი რუსეთი და მეგობარი ამერიკა საქართველოში თავიანთი ინტერესების დათმობას არ აპირებენ. აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის გამთლიანების საკითხი „მკვდარი წერტილიდან“ არ დაიძვრება. მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები იმდენად მრავალფეროვანი და ცვალებადია, რომ საქართველოსთანა პატარა ქვეყნისათვის „მოლოდინის რეჟიმში“ ყოფნა წამგებიანია. არსებობს რეალური საფრთხე, რომ ანტიამერიკული პოლიტიკის გამტარებელმა სახელმწიფოებმა: ირანმა, ჩრდილო კორეამ, სუდანმა, ვენესუელამ და სხვებმა რუსეთთან გარიგების საფუძველზე საქართველოს სეპარატისტული პროვინციების დამოუკიდებლობა აღიარონ. საგანგაშოა მედვედევ-პუტინის „ვიზიტები“ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში. დრო ჩვენს სასარგებლოდ არ მუშაობს. ჩვენს სატკივარს ჩვენვე უნდა ვუმკურნალოთ აფხაზებსა და ოსებთან პირდაპირი ურთიერთობის აღდგენა-გაღრმავებით!

**— როდესაც ოსი და აფხაზი სეპარატისტი ლიდერები „დამოუკიდებლობით“ ტკბებიან, ეს როგორ მოხერხდება?**

— აფხაზებსა და ოსებთან ურთიერთობებში საქმე აქამდე არ უნდა მიგვეყვანა. რუსები კიდეც რომ გავიდნენ აფხაზეთიდან, აფხაზები დამოუკიდებლობაზე უარს არ იტყვიან და საქართველოს წინააღმდეგ იბრძოლებენ. ასეთია მწარე რეალობა! ამას დაემატება ის, რომ ჩრდილოკავკასიელები: ადიღელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, ჩეჩნები და სხვები აფხაზების მხარეს ქართველებთან ომში (ოფიციალური რუსეთი სულ რომ არ ჩაერიოს, ეს ასე მოხდებაძ ჩაერთვებიან. ეს ნიშნავს საქართველოს ომს კავკასიელი მთიელების წინააღმდეგ, რაც გამოიწვევს უმართავ პროცესებს მთელ კავკასიაში, რომელიც დამანგრეველ ზიანს მოუტანს ქართულ სახელმწიფოს.




აფხაზებს უკვე გაცნობიერებული აქვთ თავიანთი მდგომარეობა. მის დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ თბილისი კი არა, მოსკოვია მათი უპირველესი მტერი. ვფიქრობ, ქართველებმა და აფხაზებმა უნდა მოვიფიქროთ გამოსავალი, რომელიც ორივე ხალხს საშუალებას მისცემს, თავი დააღწიოს რუსეთისგან მომავალ მომაკვდინებელ საფრთხეს!

დღეს აფხაზები მთლიანად მიჯაჭვული არიან რუსეთზე, რადგან მხოლოდ მან აღიარა მათი დამოუკიდებლობა. სხვა ქვეყნები არ ცნობენ აფხაზეთს, ეს კი ნიშნავს მის იზოლაციას, რაც ხელს შეუწყობს აფხაზეთის სრულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ ექსპანსიას და შემდგომ ასიმილაციას რუსეთთან! შედეგად, აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვარი მდინარე ენგურზე გადაიქცევა საქართველო-რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრად.

**— რა შეუძლია ქართულ სახელმწიფოს შესთავაზოს აფხაზებს?**

— ქართველებმა აფხაზებს, როგორც ჩვენს ძმებს, უნდა მივცეთ ფიზიკური გადარჩენის შანსი, „მაშველი რგოლი“ და ამავე დროს მოვახდინოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ნაწილობრივი აღდგენა. ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საბოლოო მოწესრიგების შემდეგ კი ჩვენი ერთიანი სახელმწიფოს მთლიანობა აღდგება.

იხ. 9 გვ.

XX საუკუნე რუსეთის იმპერიისთვის ავბედითად დაიწყო. რომანოვთა 300-წლიანი ეტლი რევოლუციამ და შემდეგ I მსოფლიო ომმა მძლავრად დააქანა უფსკრულისკენ. ასეთ პირობებში პეტერბურგში დაიწყეს ფიქრი ცარიზმის ნაციონალური პოლიტიკის შერბილების უმჯობესობაზე. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ კოკოვცევი ამ დარგში უფრო მეტ სიფხიზლესა და სიფრთხილეს, იმპერიის მასშტაბით ეროვნული საკითხის გაუმწვავებლობას მოითხოვს, რადგან „ეროვნული შუღლი ხელს უშლის ჯანსაღ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, რუსეთის იმპერიას კი დიდმნიშვნელოვანი საქმეები აქვს გადასაწყვეტი, საგარეო ვითარებაც დაძაბულია“. ამ პირობებში ღია რუსიფიკატორულ პოლიტიკაზე ხელის აღებაა საჭირო. ანუ უნდა შეცვლილიყო მათრახისა და თაფლაკვერის ტრადიციული პოლიტიკა, როგორც, აშკარად უვარგისი.

ასეთ ვითარებაში წარმოიშვა მითი, რომ იმპერატორი ნიკოლოზ II კეთილად იყო განწყობილი ქართველების მიმართ, რომ მას „ქართველები უყვარდა“. რა თქმა უნდა, ეს „სიყვარული“ არაფრით არ დასტურდება და არც შეიძლება ბუნებაში არსებულიყო, თუმცა აქვე ყურადღებას იქცევს ნიკოლოზ II-ის თავისებური დამოკიდებულება ქართველებისადმი.

რევოლუციამდელ პეტერბურგ-პეტროგრადში მძლავრი ქართული კოლონია არსებობდა. იქ მოღვაწეობდნენ ქართული მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის კორიფეები, განათლებას ეუფლებოდა ქართველი ახალგაზრდების ერთი ნაწილი. ქართულ კოლონიაში, რევოლუციურად განწყობილ ინტელიგენციასთან ერთად, იყო სასახლესთან დაახლოებულ არისტოკრატთა ჯგუფიც, მთელ ქალაქში ცნობილი გახლდათ თარხან-მოურავის თავადური სალონი, რომელშიც ძირითადად ტრიალებდნენ იმპერიის დედაქალაქში დაფუძნებულ ქართველ დიდებულთა შთამომავლები და მოხელეთა მაღალი წრის წარმომადგენლები. ბევრი უკვე გადაჯიშებულიყო, ქართველისა თითქმის არაფერი ეცხო და იმ სალონისკენ მხოლოდ ტრადიცია ეწეოდა, ზოგიც გულმხურვალე მამულიშვილად დარჩენილიყო და სამშობლოს ბედზე სამსჯელოდ დადიოდა. რამდენიმე მათგანი მეფის კარის სამინისტროსა და საუფლისწულო მამულების მთავარ სამმართველოში მსახურობდა, დიდი თანამდებობა და ჩინი ჰქონდა.

მეფის კარის სამინისტროს 1914 წლის მონაცემებით ესენი იყვნენ: იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მამინაცვალი (საიდუმლოდ იყო დაქორწინებული ალექსანდრე III-ის ქვრივზე იმპერატრიცა მარია ფიოდოროვნაზე), ტაინი სოვეტნიკი, ობერჰოფმაისტერი გიორგი შერვაშიძე, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი, ეგერმაისტერი ნ. ი. გრუზინსკი (ბაგრატიონი), ჰოფმაისტერები ნ. ნ. და ნ. ი. ჩელოკაევები (ჩოლოყაშვილები), კამერჰერები ნ. ა. ფანჩულიძე, ს. ნ. ლორთქიფანიძე და სხვ.

სასახლეში ტრიალებდნენ გენერალ-ადიუტანტი ა. ი. ბაგრატიონ-მუხრანელი, დავით ბაგრატიონ-დავითაშვილი, ნიკო დადიანი-მენგრელსკი, იმპერატორის ამალის ბრწყინვალე ოფიცერი უჩა დადიანი, გენერალი ივანე ნაკაშიძე, მედროვე მიხეილ ანდრონიკოვი და სხვ.

სამეფო კარზე უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენელ ქართველ ქალებსაც ნახავდით, უგანათლებულეს თავადის ასულებს ოლგა გრუზინსკაიას (ბატონიშვილ ილიას ასული) და ეკატერინა გრუზინსკაიას (ბატონიშვილ გრიგოლის ასული), დედოფლის ფრეილინები იყვნენ თავადის ასულები სოფიო ჯამბაკურ-ორბელიანი, სახელმწიფო სათათბიროს წევრის გენერალ პ. შერვაშიძის ასული მერი შერვაშიძე (გალაკტიონის მუზა)...

იმას რომ სასახლის კამარილიაში მრავლად იყვნენ ქართველები, არ ჰქონდა და არც შეიძლება ჰქონოდა პოლიტიკის რანგში აყვანილი დამოკიდებულება. ნიკოლოზ II-ის „კეთილგანწყობა“ ქართველებისადმი შემოიფარგლებოდა ვიწრო-ნათესაური წრით, რომელიც ბაგრატიონთა გვართან იყო დაკავშირებული.

საქმე ეხება სიყვარულის ამბავს, რომელმაც ერთმანეთს დააკავშირა რომანოვთა და ბაგრატიონთა სამეფო გვარები.

ერეკლე მეორის ასულის ქეთევანისა და სიძის იოანე ბაგრატიონ-მუხრანბატონის ჩამომავალმა, მუხრანბატონთა უმცროსი შტოს წარმომადგენელმა კორნეტმა კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-მუხრანბატონმა (1889-1915), რომელიც პეტერბურგში სამეფო დაცვაში მსახურობდა ფლიგელ-ადიუტანტად, გარდარეულად შეიყვარა ნიკოლოზ II-ის ძმისწული, დიდი მთავრის კონსტანტინეს ასული ტატიანა რომანოვა. ქალიშვილმაც სიყვარულით უპასუხა და ოჯახის შექმნა გადაწყვიტეს... ამ ამბავს აჯაგრული შეხვდა სასიმამრო, დიდი მთავარი კონსტანტინე. ის ფიქრობდა, რომ ქორწინება მეზალიანსი იქნებოდა – მათი ოჯახის საიმპერატორო ღირსებას არ შეეფერებოდა.

მამა მკაცრად ელაპარაკა ქალიშვილს. თუ ბაგრატიონს გაყვები და მის გვარს მიიღებ, უბრალოდ, საცხოვრებელი ადგილიც კი არ გექნებაო. ამან შედეგი არ გამოიღო, ტატიანა მუქარას არ შეუშინდა. მერე გამოუცხადა, ერთი წელი არავითარ გადაწყვეტილებას არ მივიღებ, თუ შენ ამ მსხვერპლზე უნდა წახვიდე, ბოლოს და ბოლოს, იმაში მაინც უნდა ვიყოთ დარწმუნებული, რომ „გრძნობა ღრმა და ნამდვილიაო“.

# ამბავი ერთი სიყვარულისა



გრძნობა კი მართლაც ღრმა და ნამდვილი იყო. კონსტანტინე თბილისში გაემგზავრა „ფიქრთ გასართველად“ და სატრფოს გამოსამშვიდობებლად ცრემლიანი წერილი დაუტოვა. ტატიანა დარდით ავად გახდა, აჩრდილივით დაფარფატებდა სასახლეში. აღარ ახარებდა არც წიგნები, არც ფაიფურის თოჯინები, რომლებსაც ბავშვობიდან გულმოდგინედ აგროვებდა. დედა მის გართობას ცდილობდა და გამუდმებით დაატარებდა საქველმოქმედო საღამოებზე, კონცერტებზე, თეატრებში, დაჰყავდა დედა-იმპერატრიცასთან. სხვათა შორის, მასთან სტუმრობისას ტატიანამ შეიტყო საოცარი რამ: კარის ეტიკეტის მგზნებარე დამცველი, უაღრესად თავდაჭერილი მარია ფიოდოროვნა რომანოვთა არათანასწორ, მორგანატულ ქორწინებას ცოტა არ იყოს ჩამორჩენილობად თვლიდა და ამის შეცვლის წინააღმდეგი არ იყო, რის გაკეთებაც შვილს – ხელმწიფეს სთხოვა კიდეც. ამას რომ ამბობდა, ქვრივმა დედოფალმა ტატიანას ხელზე ხელი გადაუსვა და იდუმალად გაუღიმა (იგი აკი მალულად დაქორწინდა ობერჰოფმაისტერ გიორგი შერვაშიძეზე).

მალე საოჯახო საბჭოზე ნიკოლოზ II-ის, მარია ფეოდოროვნას და ტატიანას დედმამის, აგრეთვე მეფის ბიძის, დიდი მთავრის ვლადიმერ ალექსანდროვიჩის მონაწილეობით შედგა კარის ოქმი. გადაწყდა: იმპერატორის გვარეულობის კნიაჟნას ტატიანა კონსტანტინეს ასულ რომანოვასთვის ნება დაერთოთ საქართველოს უძველესი გვარეულობის – ბაგრატიონების წარმომადგენელთან ნახევრად უმაღლესი ქორწინებისა. იქვე ითქვა, რომ ბაგრატიონები თავიანთი წარმოშობით თავისუფლად შეიძლება გაუტოლდნენ ფრანგული დინასტიის მიმქრალ ორლეანელთა გვარს, რომლებიც ერთ დროს საფრანგეთის მეფეები იყვნენ. თვით ხელმწიფე ნიკოლოზ II-ემ განუმარტა ყველას ბაგრატოვანთა უძველესი ისტორია და სამეფო ღირსება და აღნიშნა, რომ ასე ძველ და საპატიო გვართან დამოყვრება რომანოვებისთვის სასიხარულო უნდა ყოფილიყო.

1911 წლის აგვისტოში დედაქალაქის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა უმაღლესი სახელობითი ბრძანებულების (№ 1588) სრული ტექსტი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მისმა უმაღლესობამ კნიაჟნა ტატიანა კონსტანტინოვნამ წარმოადგინა ხელმოწერილი უარი მისი როგორც საიმპერატორო სახლის წევრის უფლებაზე მემკვიდრეობით მიიღოს რუსეთის იმპერატორის ტახტი. ბრძანებულებას ხელს აწერდა თვით მეფე, (1911 წ. 24 აგვისტო), ადასტურებდა იმპერატორის კარის მინისტრი, გენერალ-ადიუტანტი ბარონი ფრედერიკსი.

იმავე დღით არის დათარიღებული მეორე სახელობითი ბრძანებულება (№ 1589), რომლითაც ტატიანა კონსტანტინეს ასულ რომანოვას ტიტული ასე განისაზღვრა – „უმაღლესობა“. სპეციალურად იყო ნათქვამი, რომ ამ ქორწინებით შობილი ბავშვები იქნებიან მამის გვარზე და ისარგებლებენ მისი კუთვნილი წოდებრივი უფლებით. „უმაღლესობის“ წოდება მათ აღარ ექნებათ.

ახალი ოჯახი უავგუსტოესი მშობლების სასახლის ცალკე ფრთაში დასახლდა. მალე ორი შვილი შეეძინათ, თემურ-თეიმურაზი და ნატალი-ნატუსია. ახალი უგანათლებულესი თავადის თეიმურაზ ბაგრატიონ მუხრან ბატონის ნათლიები იყვნენ ნიკოლოზ II და მისი უფროსი ქალიშვილი ოლგა.

პირველი მსოფლიო ომის დროს სადაც კი იმყოფებოდა მუდმივად თუ დროებით, პავლოვსკში, პეტროგრადში, ყირიმსა თუ მცხეთაში, ტატიანა ბევრს და ენერგიულად მონაწილეობდა ქველმოქმედებაში. დიდი წვლილი მიუძღოდა თბილისის სამხედრო ჰოსპიტლის დაარსებაში, მოგვიანებით კი – სანიტარიული მატარებლის შექმნაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა მისი დედამთილი, თავადი ნინო ბაგრატიონი.

ტატიანა იმპერატრიცა ალექსანდრა ფიოდოროვნასთან ერთად გაზაფხულსა და ზაფხულში დაუღალავად სტუმრობდა ტუბერკულოზით დაავადებულთა სანატორიუმებს ლივადიასა და იალტაში, საქველმოქმედო ვერნისაჟებს – გურზუფსა და კორეიზაში. აწყობდა საღამოებსა და კონცერტებს თავისი ქმრის დაჭრილი ამხანაგების – მე-13 ერევნის პოლკის კავალერგარდებისთვის, რომლებიც პავლოვსკის ერთ-ერთ დიდ ლაზარეთში მკურნალობდნენ.

ამ დროს ფრონტზე იმყოფებოდნენ მისი ქმარი კონსტანტინე და 5 ღვიძლი ძმა იოანე, კონსტანტინე, გავრილა, ოლეგი და იგორი. ისინი ერთად წავიდნენ ომში, თვლიდნენ რომ ეს მათი ოჯახის წევრთა პირდაპირი მოვალეობა იყო.

თავადმა კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანბატონმა, მოხალისედ მიაშურა ფრონტს, უარი თქვა ყოველგვარ შეღავათზე და ელიტური კავალერგარდის პოლკიდან, სადაც ის დიდი ხანი მამაცურად მსახურობდა, ქვეით ჯარში გადავიდა, სადაც განსაკუთრებით აკლდათ ოფიცრები. იგი რუსული მონარქიისადმი უსაზღვრო ერთგულებით იყო აღსავსე (კატეგორიული უარი უთხრა ანტირუსულ შეთქმულებაში თანამონაწილეობაზე რუსული არმიის ოფიცერ ქართველ თავადიშვილებს). ამ რწმენით დაიღუპა ბრძოლაში. მოკლეს პოლონეთის ტერიტორიაზე, სადღაც ლვოვთან – 1915 წლის ზაფხულში (სიკვდილის შემდეგ გიორგის ჯვრით დააჯილდოვეს).

მწუხარებით განადგურებული ტატიანა ხარკოვში დახვდა ქმრის კუბოს (საშინელი სიცხეები იდგა და კუბოს ახდაზე უარი თქვეს), იქიდან გაემგზავრნენ თბილისისკენ. კონსტანტინე მცხეთაში, სვეტიცხოველში, ბაგრატიონთა საძვალეში დაკრძალეს. იქ გაიგო ტატიანამ ძმის ოლეგის დაღუპვისა და მამის გარდაცვალების ამბავი.

მალე ყველაფერი აირია. ქვეყანას წითელი ქარიშხალი მოედო. ძმები და ნათესავები დაუპატიმრეს. იმპერატორ ნიკოლოზის მთელი ოჯახი დახვრიტეს.

დიდი წვალებით, სიცოცხლის რისკით გააღწია ტატიანამ ორ შვილთან ერთად შიმშილითა და ტერორით მოცული რუსეთიდან საზღვარგარეთ, ჯერ – რუმინეთში, შემდეგ – საფრანგეთში. უმწეო ქალი ამას ვერ შეძლებდა, მამამისის ყოფილი ფლიგელ-ადიუტანტის პოლკოვნიკ ალექსანდრე ვასილის ძე კოროჩენცოვის სიმამაცე და თავდადება რომ არა. სხვათა შორის, რევოლუციური რუსეთიდან თავის დაღწევის სამი თვის შემდეგ კოროჩენცოვი გარდაიცვალა.

ულამაზესმა ახალგაზრდა ქალმა მთელ თავის ცხოვრებისეულ მიზნად შვილების აღზრდა დაისახა. მართლაც, ევროპაში გაბნეული ნათესავების დახმარებით თეიმურაზსა და ნატალის მშვენიერი აღზრდა და განათლება მისცა.

როცა ბავშვები დამოუკიდებელი ცხოვრების გზას დაადგნენ, დედამ თავისი მისია ამოწურულად ჩათვალა და ჯანღონით სავსე, ჯერ კიდევ მომხიბვლელმა ქალმა საერო ცხოვრებაზე უარი განაცხადა. სვეტიცხოველში, საყვარელი ქმრის საფლავთან დადებული აღთქმა სისრულეში მოიყვანა და 1946 წელს მონაზვნად აღიკვეცა თამარის სახელით. იერუსალიმში გაემგზავრა. ჯერ გეთსიმანიაში იყო მონაზვნად, 1951 წლიდან კი უკვე ელეონის ამაღლების მონასტრის – იღუმენიად. მონაზონი თამარი შემდეგ სპასო-ვოზნესენსკის მონასტრის წინამძღვარი გახდა და მას 1975 წლამდე ხელმძღვანელობდა.

დიდი მთავარი ტატიანა კონსტანტინოვნა რომანოვა, თავადი ბაგრატიონ-მუხრანბატონი, მონაზონი თამარი 1979 წლის 19 აგვისტოს წმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღეს აღესრულა თითქმის 100 წლისა.

შეგვიძლია თვალი გავადევნოთ კონსტანტინესა და ტატიანას ვაჟის თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანბატონის ცხოვრებისეულ გზასაც. თეიმურაზი 1912 წელს დაიბადა პავლოვსკში (სანკტ-პეტერბურგის გუბერნია). საზღვარგარეთ ბაგრატიონთა ოჯახი. რამდენიმე წელი შვეიცარიაში ცხოვრობდა. შემდეგ იუგოსლავიაში დასახლდნენ, სადაც 1927 წელს თეიმურაზი ყირიმის კადეტთა კორპუსში შევიდა. როცა ეს კორპუსი დაიშალა, განათლება დიდი მთავრის კონსტანტინეს, თავისი პაპის სახელობის პირველ რუსულ კადეტთა კორპუსში გააგრძელა. 1932 წელს იუგოსლავიის სამხედრო აკადემიაში შევიდა, რომლის დასრულების შემდეგ 10 წელი იმსახურა გვარდიულ არმიაში. მონაწილეობდა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში.

მისი ომისშემდგომი საქმიანობა ძირითადად დაკავშირებული იყო ტოლსტოის ფონდთან, რომლის წარმომადგენელიც გახლდით უკანასკნელ წლებში, იყო აგრეთვე ამერიკული საქველმოქმედო ორგანიზაციის „კერის“ თავმჯდომარე, საქველმოქმედო სააგენტოების ამერიკული საბჭოს გამგეობის წევრი, აგრეთვე ორგანიზაცია interaction-ის ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომელიც 100 სხვადასხვა საქველმოქმედო სააგენტოს აერთიანებდა. თეიმურაზმა არსებითი როლი შეასრულა ამერიკელი რუსების კონგრესის შექმნაში 1970-იან წლებში. თავად თეიმურაზს დიდ პატივს სცემდნენ არა მხოლოდ რუსები, არამედ ყველანი, ვისთანაც მას შეხვედრა უწევდა თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობის გზაზე.

თავადი თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანბატონი 1992 წლის 10 აპრილს გარდაიცვალა ნიუ-იორკში.

ასეთია რუსეთის საიმპერატორო კარის საქართველოსა და ქართველების მიმართ „სიყვარულის“ ერთი მაგალითი. მეორე მაგალითზე მომავალში ვისაუბროთ.

ალეკო ასლანიშვილი.

**სურათზე:** კონსტანტინე ბაგრატიონი მეუღლესთან მთავრინა ტატიანა რომანოვასთან ერთად.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აფხაზეთი მომავალ პრეზიდენტს ეცნობა

**აფხაზეთში 27 ივნისს დაიწყო კანდიდატების დასახელება პრეზიდენტის არჩევნებისთვის, რომელიც უნდა გაიმართოს 26 აგვისტოს. რესპუბლიკის ხელმძღვანელის პოსტზე მთავარი პრეტენდენტები არიან ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრ ანქვაბი და პრემიერი სერგეი შამბა – ისინი ერთ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ, მაგრამ ჯერჯერობით არ ამხელენ თავიანთ გეგმებს დასახელებასთან დაკავშირებით.**

არჩევნებზე გადამწყვეტი ფაქტორი შეიძლება გამხდარიყო ერთ-ერთი კანდიდატის მხარდაჭერა მოსკოვის მხრიდან. მაგრამ, ჩვენი გაზეთის მონაცემებით, მოსკოვს განზრახული აქვს, არ ჩაერიოს აფხაზეთში ამჟამინდელ კენჭისყრაში, რათა არ გაიმეოროს 2004 წლის შეცდომები, როდესაც მისმა აშკარა თამაშმა ერთ-ერთი კანდიდატის მხარდასაჭერად ლამის შეიარაღებულ შეტაკებასთან მიგვიყვანა რესპუბლიკაში.



აფხაზეთში ვადამდელი არჩევნები გამოცხადდა მას შემდეგ, რაც 29 მაისს მოსკოვში გარდაიცვალა პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში. კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განაცხადა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელმა ბატალ ტაბაღუამ. კანდიდატების დასახელების პერიოდი 17 ივლისს მთავრდება, რეგისტრაციის პროცესი კი ათი დღე გაგრძელდება. ამრიგად, 28 აგვისტოს უკვე ცნობილი იქნება კანდიდატების სრული სია. „ვფიქრობ, იმ სიტუაციის გათვალისწინებით, რომელშიც აღმოვჩნდით დღეს პრეზიდენტის მოულოდნელ გარდაცვალებასთან დაკავშირებით, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს არ არის რიგითი არჩევნები“, – განაცხადა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელმა.

ჯერჯერობით ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დოკუმენტები არავის წარუდგენია. მაგრამ ძირითადი პრეტენდენტები უკვე ცნობილია. ესენი არიან 59 წლის ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრ ანქვაბი, რომელიც ამჟამად სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობას ასრულებს და 60 წლის პრემიერი სერგეი შამბა. და მართალია, თავის საპრეზიდენტო ამბიციებს არ მალავს ოპოზიციის ლიდერი, წარსულში კი პრემიერი და ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა, ძირითადი ბრძოლა, როგორც ჩანს, გაიმართება სწორედ აფხაზეთის ხელმძღვანელ ტანდემს შორის.

მთავარ პრეტენდენტებს სხვადასხვაგვარი რეპუტაცია აქვთ. 2004 წლის პრეზიდენტის არჩევნებში ანქვაბმა ვერ შეძლო წამოეყენებინა თავისი კანდიდატურა ერთ ადგილზე ცხოვრების ცენზის გამო, ამიტომ მხარი დაუჭირა სერგეი ბაღაფშს და მიიღო პრემიერის პოსტი. 2009 წელს ის კენჭს იყრიდა მასთან ერთად ვიცე-პრეზიდენტობაზე. ალექსანდრ ანქვაბი, რომელმაც ხუთი თავდასხმა გადაიტანა, სარგებლობს მკაცრი პიროვნების რეპუტაციით, მან სიმპათიები მოიპოვა კორუფციასთან ბრძოლაში.

სერგეი შამბა უფრო ლიბერალურია. 1997 წელს ის სათავეში ედგა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელსაც ხელმძღვანელობდა შარშან თებერვლამდე, როდესაც დაინიშნა პრემიერის თანამდებობაზე. 2004 წელს ის უკვე ასახელებდა თავის კანდიდატურას პრეზიდენტის პოსტზე, მაგრამ მნიშვნელოვნად ჩამორჩა სერგეი ბაღაფშსა და რაულ ხაჯიმბას. თუმცა ამჟამად მას გაცილებით მეტი შანსი აქვს. ბატონ შამბას სასარგებლოდ მეტყველებს აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სათავეში წარმატებული მუშაობა და, რაც მთავარია, ვრცელი კავშირურთიერთობანი რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში, პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და მთავრობაში. ამას გარდა, სერგეი შამბას მეტი სიმპათიები აქვს მასობრივი ინფორმაციის ბევრ საშუალებაში, ბატონი ანქვაბისგან განსხვავებით, ის ყოველთვის უფრო ხელმისაწვდომია ჟურნალისტებისთვის.



უკანასკნელ პერიოდამდე ალექსანდრ ანქვაბი და სერგეი შამბა ცდილობდნენ არ გაემჟღავნებინათ თავიანთი გეგმები. უკანასკნელი თვის განმავლობაში ორივე საუბრობდა, რომ არ გამორიცხავენ არჩევნებში მონაწილეობას, თუმცა კონკრეტულ განზრახვებს გვპირდებოდნენ კამპანიის დაწყების შემდეგ.

ინტრიგებს ზრდიდა მმართველი პარტია „ედინაია აფხაზიას“ ქცევაც. პარტიამ წინასწარვე განაცხადა, რომ არ წამოაყენებს არანაირ კანდიდატს, არამედ დაუჭერს მხარს მას, ვინც სერგეი ბაღაფშის საქმეს გააგრძელებს.

ამიტომ აფხაზეთში აქტიურად განიხილებოდა ვარიანტი, რომლის დროსაც ანქვაბი და შამბა არჩევნებზე წავლენ წყვილად, რათა შეინარჩუნონ სტაბილურობა და არ გათიშონ საზოგადოება. თუმცა, სერგეი შამბამ ამას წინათ ინტერვიუში გამოცემა „ლენტა.რუ“-სთან განაცხადა, რომ ალექსანდრ ანქვაბთან წყვილში დასახელებას არ აპირებს. „მე ჩემი გეგმები მაქვს, მას თავისი. ჩვენ მეგობრები ვართ, მაგრამ ამ საკითხში გაერთიანება ნაკლებად სავარაუდოა“, – განმარტა მან.

ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი არჩევნებზე გახდება ის, თუ ვის დაუჭერს მხარს აფხაზეთის ძირითადი პარტნიორი და დონორი – რუსეთი. თანამოსაუბრემ კი რუსეთის ფედერაციის მთავრობაში შეგვახსენა, რომ სერგეი ბაღაფშის დაკრძალვის დროს სოხუმში ჩაფრენილი ვლადიმერ პუტინი შეხვდა ბატონ ანქვაბსაც და ბატონ შამბასაც, წარმოაჩინა მოსკოვის მზადყოფნა, იმუშაოს ნებისმიერ კანდიდატთან.

Коммерсантъ

# თავისი სახელის ჯორჯიად გადარქმევაში საქართველომ პირველ წარმატებას მიაღწია

**სამხრეთი კორეა გახდა პირველი ქვეყანა, რომელიც დათანხმდა, უწოდოს საქართველოს ჯორჯია. ამავე დროს თბილისმა კვლავ მოუწოდა გაეროს, გაანადგუროს ტერმინი „გრუზია“. ამ დროს, როგორც ირკვევა, არანაირი ხერხი, გაეროს დახმარებითაც კი, არ არსებობს, აიძულო სხვა ქვეყნები, უწოდოს საქართველოს სხვაგვარად, ვიდრე მას დღეს უწოდებენ. მით უმეტეს რუსულად.**

როგორც ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი თბილისში ტელეკომპანია „იმედზე“ მითითებით, გვატყობინებს, სამხრეთი კორეა გამოეხმაურა საქართველოს თხოვნას, რომელმაც ადრე ოფიციალურად სთხოვა გაეროს ყველა ქვეყანას უწოდოს მას ჯორჯია (გეორგიაძ. სეულში განაცხადეს, რომ შეცვლიან დოკუმენტაციას. როგორც ცნობილია, კორეას აწუხებს ანალოგიური პრობლემები – ათეული წლების განმავლობაში იგი ითხოვს მსოფლიოს გაერთიანებისგან იაპონიის ზღვას უწოდოს აღმოსავლეთის ზღვაც.

როგორც ორშაბათს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ გვაცნობა, თბილისი „ამ ინიციატივით დიდი ხანია გამოვიდა და მიმართა ოფიციალური წერილით მსოფლიოს ბევრ ქვეყანას, რათა შეიცვალოს სახელმწიფოს სახელწოდება „გრუზია“ და ოფიციალურად ეწოდოს მას ინგლისური მანერით „ჯორჯია“.

„ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კორეის გადაწყვეტილებას, ვინაიდან ჩვენი ბევრი მეგობარი და მომხრე, მიუხედავად მრავალმხრივი დაპირებისა, ვერ ახორციელებენ ამას. თუმცა ჩვენ გვესმის, რომ ქვეყნის დასახელების შეცვლა დაკავშირებულია ტექნიკურ და ფინანსურ საკითხებთან“, – თქვა კალანდაძემ.

მისი სიტყვებით, საქართველოს მხარემ უნდა იმუშაოს ამ მიმართულებით, რათა ყველა სახელმწიფომ საქართველოს უწოდოს „ჯორჯია“.

ამ საკითხით სერიოზულად დაიწყო მუშაობა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ. უცხოელ კოლეგებთან პირადი შეხვედრების დროს ის ხშირად აყენებს ამ თემას, რომელიც აქტუალური გახდა 2008 წლის აგვისტოს მოვლენებისა და შემდგომი ქვეყნის დსთ-დან გამოსვლის შემდეგ.

2009 წლის მაისში ლიტვაში ყოფნის დროს ვაშაძემ საერთოდ გაანადგურა ტერმინი „გრუზია“. ამავე დროს მან აღიარა, რომ სახელწოდება „ჯორჯია“ გამოიწვევს გარკვეულ სირთულეებს და გაურკვევლობას. მაგრამ ისეთ მეგობარ ქვეყანაშიც კი, როგორიცაა ლიტვა, რომლის პოლიტიკოსებს შორისაც ძლიერია რუსოფობული განწყობილება, ასეთი მცდელობა ჩაიშალა. ერთი წლის შემდეგ ლიტვის ენის კომისიამ უარი განაცხადა, შეეცვალა ქვეყნის ლიტვური დასახელება „გრუზია“ – „გეორგიაზე“. თხოვნა უარყვეს ერთხმად და განუხილველად.



2009 წლის გაზაფხულზე ვაშაძემ ანალოგიური თხოვნით მიმართა იაპონიასაც, რომლის ენაზეც შორეული მზიური ქვეყნის სახელწოდება გაისმის დაახლოებით ასე: „გრუდზია“. მაგრამ ტოკიოში მიუთითეს, რომ ალტერნატივად არ შესთავაზეს ქვეყნის სახელწოდება ქართული ენიდან. ინგლისურენოვანი დასახელება საქართველოსი – „გეორგია“ – ამერიკის ერთ-ერთი შტატის სახელწოდების იდენტურია. თუ იაპონიაში გამოეხმაურებიან ამ თხოვნას, მაშინ საქართველოს სახელწოდება იქნება, როგორც „ძიოძია“.

ამ დროს შეგახსენებთ, რომ ქართულ ენაზე ქვეყნის თვით სახელწოდება არის „საქართველო“ („ქართველების მიწა“, ეს არის ისტორიული ოლქი, სადაც V-IV საუკუნეებში დაიწყო ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაძ. რუსული სახელწოდება „გრუზია“ მოდის ამ რეგიონის სპარსული დასახელებიდან – გურიიდან. ძველი ბერძნები დასავლეთ საქართველოს კოლხეთს უწოდებდნენ, აღმოსავლეთ საქართველოს კი – იბერიას.

საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა პეტრე მამრაძემ, რომელიც ოპოზიციას ეკუთვნის, განაცხადა, რომ არასერიოზულია ყური დაუგდო ხელისუფლების ინიციატივას. „მთელი ამ წლების განმავლობაში აქცენტი ფორმალურ ნიშნებზე კეთდება, განსაკუთრებით სიმბოლიკაზე, არსებითი პრობლემების ნაცვლად, ურომლისოდაც ერი ვერ იარსებებს“, – განაცხადა მამრაძემ ჩვენთან საუბარში.

აღვნიშნავთ, რომ თავისთავად თბილისის მოწოდებაც გაეროსადმი წმინდა სიმბოლური, პროპაგანდისტული მნიშვნელობისაა, ვინაიდან გაეროს არც აპარატი, არც უშიშროების საბჭო არ ღებულობს რაიმე განსაკუთრებულ, მსოფლიო გაერთიანებისთვის სავალდებულო გადაწყვეტილებას რომელიმე ქვეყნის სახელწოდების შესახებ. გაეროს აპარატში, მართლაც, მუშაობს გაეროს კომისია გეოგრაფიულ სახელწოდებათა სტანდარტიზაციის საკითხებზე, მაგრამ მისი ვერდიქტები, რასაკვირველია, მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებენ. ჩამოყალიბებული პრაქტიკის თანახმად, თითოეულ სახელმწიფოს და თითოეულ ხალხსაც კი, თვალსაჩინო მიზეზებით, აქვს უფლება უწოდოს სხვა ხალხს და სხვა ქვეყანას თავისი შეხედულების შესაბამისად. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც სახელმწიფოები ოფიციალურად ატყობინებენ გაეროს იმის შესახებ, რომ მათ შეიცვალეს თავიანთი სახელწოდება, სხვა ქვეყნები კი იტოვებენ უფლებას, გამოიყენონ ან ძველი, ან ახალი ოფიციალური დასახელება.

გაეროში საქმის წარმოებისთვის ოფიციალურად ექვს ენას იყენებენ. ესენია: ინგლისური, არაბული, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ენები. გაეროს სამდივნოს სამუშაო ენაა მხოლოდ ინგლისური და ფრანგული. უცხოეთის ქვეყნის სახელწოდების შეცვლისთვის დიპლომატებისთვის საკმარისია მხოლოდ შეიტანონ შესაბამისი ცვლილებები თავიანთ დოკუმენტაციაში. ამიტომ გაეროს ოფიციალურ დოკუმენტებში საქართველოს ოთხ ენაზე ისედაც „ჯორჯია“ ეწოდება.

გაეროს დოკუმენტებში, რომლებიც დაწერილია რუსულ ენაზე,შენარჩუნებულია რუსული ენისთვის ტრადიციული სახელწოდება. ამრიგად, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილების გარეშე არანაირი სრული „განადგურება“ ტერმინ „გრუზიასი“, რის შესახებაც საუბრობდა ვაშაძე, არ მოხდება.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**ჩრდილოეთ კორეაში ათი თვით დაიხურა ყველა უნივერსიტეტი, სტუდენტები მშენებლობებზე გაგზავნეს**

2012 წლის აპრილში ქვეყანაში გაიმართება გაქანებით უპრეცედენტო ზეიმი კიმ ირ სენის დაბადების 100 წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით. იგი ქვეყნის ამჟამინდელი ლიდერის კიმ ჩენ ირის მამაა. ამასთან დაკავშირებით გაჩაღებულია მრავალრიცხოვანი მშენებლობები, მათ შორის მაღალსართულიანი საცხოვრებელი სახლებისა ფხენიანის ცენტრში.

* * *

**თანამგზავრმა „ნასამ“ აფრიკის ამოფრქვეულ ვულკანში „ჩაიხედა“**



გადაღებული სურათები შედის ფერფლისა და ლავის ამოფრქვევის ყველაზე პირველ დეტალურ გამოსახულებებში ვულკანისა, რომელიც ეთიოპიის საზღვართანაა. მისი გამოღვიძების მომენტიდან ორი კვირის წინათ, ცოტა ცნობა თუ გამოქვეყნდა ამოფრქვევის პროცესის შესახებ, თუმცა მან ქაოსი შეიტანა აფრიკის აეროპორტების მუშაობაში.

* * *

**ევროპაში ნაწლავური ჩხირების მსხვერპლთა რიცხვმა 47 მიაღწია**



თავად გერმანიაში დაავადებამ 46 კაცის სიცოცხლე შეიწირა. ადრე იტყობინებოდნენ გერმანიაში დაავადების 42 მსხვერპლის შესახებ და კიდევ ერთ-ერთი გარდაცვლილი ქალის შესახებ შვედეთში. გერმანიაში ინფექციის აფეთქების შემდეგ მაისის დასაწყისში დაშავდა 3,8 ათას კაცზე მეტი, მათგან დაახლოებით 830-მა გადაიტანა დაავადების განსაკუთრებითი მძიმე ფორმა.

* * *

**ელექტროკონფლიქტი მოსკოვსა და მინსკს შორის: ბელარუსს ემუქრებიან ენერგიის გამორთვით უახლოეს საათებში**

ბელარუსმა მაინც ვერ გადაიხადა რუსეთის ვალი, რომელიც 1,5 მილიარდ რუბლს უტოლდება ელექტროენერგიის მიწოდებისთვის. თავდაპირველად აპირებდნენ ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტას 22 ივნისს, მაგრამ ეს ვადა გადაიტანეს 27 ივნისისთვის. ბელარუსის ენერგეტიკის სამინისტროში არ იციან, აქვთ თუ არა ვალი, მაგრამ იმედი აქვთ ერთ დღე-ღამეზე, რომელიც მათ დარჩათ.



◉ პროფესიის პრესტიჟი

# ჟურნალისტის ზნეობრივი გმირობა

**ამ დღეებში სულიერების, კულტურისა და მეცნიერების აღორძინებისა და განვითარების სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის დარბაზში გაიმართა ცნობილი ჟურნალისტის და საზოგადო მოღვაწის ია ბაგრატიონ-მუხრანელის შემოქმედებითი, საიუბილეო საღამო. „ჟურნალისტი და მისი გმირები" — ასეთი იყო შეხვედრის მთავარი თემა. თავდაპირველად მოვუსმინოთ თვით ია ბაგრატიონ-მუხრანელის ნაუბარს:**

საზოგადოებაზე და, განსაკუთრებით, ჟურნალისტებზე ტერორი მხოლოდ დღევანდელი ხელისუფლებისთვის არ არის დამახასიათებელი. ოპოზიციური, თავისუფალი აზრი ჯერ კიდევ საბჭოთა რეჟიმის პერიოდში იდევნებოდა.

ჟურნალისტური მოღვაწეობა 1965 წელს დავიწყე. ერთ-ერთ ჩემს პირველ წერილს, რომელიც გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიიში" გამოქვეყნდა და რომელიც დავით გარეჯის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ პრობლემებს ეხებოდა, ხელისუფლების მწვავე რეაქცია მოჰყვა. იყო სატელეფონო ზარები და დაცინვის მცდელობა, თუმცა არც მაშინ და არც შემდეგ არ შევშინდი. ისე განვაგრძობდი მწვავე წერილების ბეჭდვას. „სოვეტსკაია კულტურაში" (შემდეგ „კულტურა"ძ გამოქვეყნებული ერთ-ერთი მასალა სამხატვრო აკადემიაში არსებულ სიტუაციას ეხებოდა. ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ ამ სასწავლებელში უპროტექციოდ მოხვედრა შეუძლებელი გახლდათ. წერილის გაზეთში გამოქვეყნების შემდეგ გურამ ენუქიძე, რომელიც მაშინ ცკ-ის მდივანი იყო, სპეციალურად გაემგზავრა მოსკოვს, რომ სამსახურიდან ჩემი მოხსნა მოეთხოვა. მაგრამ „სამხილი" ვერ მიპოვეს და გადავრჩი. ეს მხოლოდ მცირედი ჩამონათვალია ხელისუფლების მიერ ჩემზე განხორციელებული ტერორისა, რომელსაც წლების განმავლობაში განვიცდიდი.

შემდეგ დაიწყო ეროვნული მოძრაობა, რასაც მოჰყვა 9 აპრილი. საბჭოთა კავშირის უკიდეგანო სივრცეში ეს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა. საქართველომ მაშინ უდიდესი მისია იტვირთა და პირველმა გადადგა გაბედული ნაბიჯი დამოუკიდებლობისკენ. ქართველმა ხალხმა ეს ტრაგედია დღემდე ჯეროვნად ვერ გაითავისა.

მე პროტესტის ნიშნად უარი ვთქვი საკავშირო გაზეთის საკუთარ კორესპონდენტობაზე, რადგან მიმაჩნდა, რომ მაშინდელმა საბჭოთა ხელისუფლებამ არასწორად შეაფასა ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი თარიღი, რომლის სამართლიანად შეფასება ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ შეძლო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე 9 აპრილს დაამთხვია.

1991 წელს, ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მითითებით, მუშაობა დავიწყე „სვობოდნაია გრუზიაში". პრეზიდენტმა შემომთავაზა, დაგვეარსებინა ქართული გაზეთი რუსულ ენაზე. დამნიშნეს ამ გაზეთის რედაქტორად. აღსანიშნავია, რომ „სვობოდნაია გრუზია" ყოფილი „ზარია ვოსტოკას" ბაზაზე შეიქმნა. იმის გამო, რომ „ზარია ვოსტოკას" კოლექტივში უკვე ღრმად იყო გამჯდარი საბჭოთა მენტალიტეტი, მე ბევრის გაკეთება ვერ შევძელი. რედაქციაში აუტანელი სიტუაცია სუფევდა. საბჭოთა ჟურნალისტები ყველანაირად გვიშლიდნენ ხელს ეროვნული გაზეთის შექმნაში. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც, საბჭოთა ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებად ითვლებოდნენ. მიზეზი მათი საბჭოთა მენტალიტეტი იყო, რომელიც 9 აპრილის ტრაგედიამაც ვერ დაარღვია. ისინი 9 აპრილის შემდეგაც წერდნენ საბჭოთა ხელისუფლების სადიდებელ წერილებს და აღნიშნულ ტრაგედიაში ეროვნული მოძრაობის ლიდერებსა და საზოგადოებას ადანაშაულებდნენ. ასე რომ, „ზარია ვოსტოკას" მხოლოდ სახელწოდება შეეცვალა და, მიუხედავად ჩვენი დიდი ძალისხმევისა, შინაარსით თითქმის იგივე გაზეთად დარჩა. მიუხედავად ამისა, გაზეთის გამოცემას მაინც განვაგრძობდით. 1991 წლის დეკემბრიდან გაზეთი იატაკქვეშ გამოდიოდა. რედაქციაში მხოლოდ ყველაზე თამამი ჟურნალისტები ახერხებდნენ მოსვლას.

იატაკქვეშ რამდენიმე ნომერი გამოვუშვით და იმ ნომრებს დღემდე ვინახავ. ჩემი ჟურნალისტური მოღვაწეობა 1991 წლის 29 დეკემბრამდე გაგრძელდა. 29 დეკემბერს უზენაესი საბჭოს შენობასთან 27 წლის შვილი მომიკლეს — ვახტანგ ამირეჯიბი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობასა და საქართველოს აღორძინებაზე ოცნებობდა. მას ორი შვილი დარჩა. იმ დღეს უზენაეს საბჭოში მიმაცილა და იქ მეგობრებთან საუბარმა შეაყოვნა. მაშინ ესროლეს.



ჩემთვის განკუთვნილი ტყვია მას მოხვდა. მე მოგვიანებით გავიგე, რომ დაჭრილი საავადმყოფოში გადაუყვანიათ. მას შემდეგ არაფერი მახსოვს... ერთი წლის განმავლობაში მწვავე დეპრესია მქონდა. მდგომარეობიდან ჩემმა მოძღვარმა მამა არჩილმა გამომიყვანა. მაშინ მხოლოდ რწმენამ გადამარჩინა. დღემდე რწმენა მაძლებინებს. მგონია, იმიტომ გადავრჩი, რომ ამქვეყნად ჩემი მისია არ ამოწურულა. ვაპირებ, გამოვცე წიგნი სახელწოდებით: „მე ვადანაშაულებ..!" სადაც ვამხელ იმ ადამიანებს, რომელთაც საქართველო ამ მდგომარეობამდე მიიყვანეს"...

* * *

ვიდრე ამ წიგნს შექმნიდეს, ია ბაგრატიონ-მუხრანელმა დიდი ავტორიტეტი მოიპოვა პუბლიცისტური წიგნით — „ბოლო საფეხურზე". მისი ხელდასხმით (რედაქტორობითძ გამოსული ისტორიული კრებული „საქართველოს თავადაზნაურობა" (ჯერჯერობით მხოლოდ პირველი ტომი გამოვიდაძ, ქართველი ისტორიკოსების და ქართველ თავადაზნაურთა გვარებით დაინტერესებული მკითხველის სამაგიდო წიგნია. ია ბაგრატიონ-მუხრანელი მოძრაობა საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს დამფუძნებელია, ხელმძღვანელობს საქართველოს მონარქისტულ მოძრაობას — „სამეფო გვირგვინი"...

ასე რომ, ჩვენი უძვირფასესი კოლეგა და მეგობარი, პუბლიცისტი და ისტორიკოსი დიდად დამაშვრალი, მუდამ ერის აღორძინებისა და გამთლიანებისთვის მებრძოლი მოღვაწეა.

შემოქმედებითი-საიუბილეო საღამო, რომელსაც ცნობილი ჟურნალისტი ბატონი გურამ გოგიაშვილი უძღვებოდა, ია ბაგრატიონ-მუხრანელის პიროვნული ხიბლის და მრავალწლიანი მოღვაწეობის წარმოჩენის დაუვიწყარი დასტური იყო. მეგობართა და ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენელთა გამოსვლებში კიდევ ერთხელ გამოიკვეთა, რომ ია ბაგრატიონ-მუხრანელის ცხოვრების მთავარი დედააზრი საკუთარი სამშობლოს ბედ-იღბალი, მისი დღევანდელობა და მომავალია. რაც იამ შეძლო, ზნეობრივი გმირობის ტოლფასია...

ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს და ამოლვაწოს ჩვენი ქრისტესმიერი დაიკო და ქართული ჟურნალისტიკის გამორჩეული კოლორიტი...

**სპარტაკ ქოგულია**

◉ პოლიტიკა და საზოგადოება

# დრო ჩვენს სასარგებლოდ არ მუშაობს

(მეექვსე გვერდიდან)

აფხაზებმა იციან, რომ ქართველები ისეთივე ავტოქტონური ერია ამ მიწაზე, როგორიც თავად აფხაზები. ქართველები, კერძოდ, მეგრელები და სვანები მკვიდრი მოსახლეობაა აფხაზეთის ტერიტორიაზე (გალი, ოჩამჩირე, ტყვარჩელი, გულრიფში, კოდორის ხეობა და სხვ.ძ და მათ კანონიერი უფლება აქვთ, დაბრუნდნენ თავიანთ მიწაზე. აფხაზებთან შეთანხმების შემთხვევაში, ქართულმა სახელმწიფომ უნდა აღიაროს აფხაზეთის დამოუკიდებლობა, ცნოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტად მდინარე კელასურისა და მდინარე ფსოუს ფარგლებში. საზღვარი მდინარე კელასურზე უნდა გავიდეს!

**— თქვენ აფხაზეთის გაყოფაზე ლაპარაკობთ. ეს რას ცვლის, გარდა იმისა, რომ თავად ვაღიარებთ საკუთარი ტერიტორიის დამოუკიდებლობას?**

— როგორც ქართველებს არ გვეთმობა მდინარე კელასურის იქითა (ჩრდილო-დასავლეთიძ ტერიტორია, ისე აფხაზებს არ ეთმობათ კელასურის აქეთა (აღმოსავლეთიძ მიწა, მაგრამ დღეს სხვა გამოსავალი არ ჩანს, ხვალ შეიძლება ყველაფერი გვიან იყოს. ქართველები მთლიანად დავკარგავთ აფხაზეთს, ხოლო აფხაზები „გაქრებიან" უზიხებივით. ეს ნიშნავს საერთაშორისო თანამეგობრობისგან აფხაზეთის აღიარებას, რაც გადაარჩენს აფხაზ ხალხს რუსებთან სრული ასიმილაციისგან. ასევე, აფხაზებმა უნდა აღიარონ საქართველოს შემადგენლობაში მდინარე კელასურსა და ენგურს შორის არსებული ტერიტორია, სადაც ქართველი დევნილები დაბრუნდებიან.

აფხაზებსა და ქართველებს შორის ე.წ. „კელასურის შეთანხმება" რუსებს რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური აგრესიის შანსს არ დაუტოვებს. თბილისსა და სოხუმს შორის ევროკავშირის მონაწილეობით დადებულ ამ შეთანხმებაში უნდა შედიოდეს ისეთი პარაგრაფები, რომლებიც აფხაზებსა და ქართველებს შორის ნათელს მოჰფენს ყველა გაუგებრობას! უწინარეს ყოვლისა, ამ შეთანხმებაში უნდა შევიდეს იურიდიული ნორმა, რომელიც ორ ხალხს, მათი თანხმობის შემთხვევაში, ფედერალურ საწყისებზე ინტეგრაციის საშუალებას მისცემს. ალბათ, ქართველებშიც და აფხაზებშიც გამოჩნდებიან ისეთები, რომლებიც ამ გეგმის შემთავაზებლებს მოღალატეებად შერაცხავენ, მაგრამ დამერწმუნეთ, დრო გამოაჩენს ამ გადაწყვეტილების მართებულობას.

**— რას იტყვით ცხინვალის რეგიონზე?**

— სააკაშვილის ხელისუფლებამ უდიდესი შეცდომა დაუშვა, როდესაც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ადმინისტრაციული ერთეული (ხელმძღვანელი სანაკოევიძ შექმნა და „ააღორძინა" საბჭოთა ტერმინი „"სამხრეთ ოსეთი", რის შედეგსაც დღეს ვიმკით. ეს იყო, არის და იქნება შიდა ქართლის ჩრდილოეთი ნაწილი, საქართველოს ძირძველი, განუყოფელი მიწა-წყალი! მიუხედავად „დამოუკიდებლობის" მოპოვებისა, დღეს იქ მცხოვრები ოსები უმძიმეს მდგომარეობაში არიან, რადგან რუსეთმა ეს ტერიტორია სამხედრო პლაცდარმად აქცია, ხოლო ოსები რუსი სამხედროების მომსახურე პერსონალად. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ახლო მომავალში ოსები (უპირველესად ახალგორელი ოსებიძ დახმარებისთვის მოგვმართავენ. რა შეიძლება ქართულმა სახელმწიფომ შესთავაზოს ამ რეგიონში მრავალი ათეული წლის მანძილზე მცხოვრებ ოსებს? ჩვენი ორმხრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ მომავალში გამოირიცხოს ყოველგვარი გაუგებრობა და ამავე დროს არ შეიბღალოს ამ რეგიონში მცხოვრები ოსი ხალხის ეროვნული ღირსება და რაც მთავარია, არ დაირღვეს საქართველოს სახელმწიფოს მთლიანობა, ეწოდოს ამ რეგიონს „ოსურ-ქართული ავტონომიური მხარე". აქ მცხოვრებ ოსებს, მშობლიურ ადგილებში დაბრუნებულ ქართველებთან ერთად, ექნებათ იგივე უფლებები, როგორიც ისტორიულ ოსეთში (რუსეთის ფედერაციაძ მცხოვრებ ოსებს! ქართველებმა, აფხაზებმა და ოსებმა უნდა გამოვძებნოთ საერთო ენა. მაშინ არც აფხაზს დაემუქრება ასიმილაცია და გაქრობა, არც ოსი იქნება რუსი სამხედროების მსახური და არც ქართველები (საქართველოძ გავხდებით ამერიკა-რუსეთის „სათამაშო" პოლიგონი!

დასასრულ, აუცილებელია, საქართველოს ხელისუფლებაში მოვიდნენ ეროვნული ძალები, რომლებიც ქართული სახელმწიფოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძოლებენ.

**ესაუბრა**
**იზო რიკაძე**

**სააქციო საზოგადოება „გორიგაზის" აქციონერთა საყურადღებოდ განცხადება სააქციო საზოგადოების მორიგი კრების მოწვევის შესახებ**

**გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 21 ივლისს დღის 12 საათზე საქართველოს „მეწარმეთა შესახებ" კანონის თანახმად სს „გორიგაზის" დირექტორი იწვევს საზოგადოების აქციონერებს სს „გორიგაზის" მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება ქ. გორში, იოსებიძის ქ. №1-ში, სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციულ შენობაში.**

**დღის წესრიგი:**

**1. 2010 წლის წლიური ანგარიში:**
**ა) წლიური ანგარიშის წარმოდგენა დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშთან ერთად;**
**ბ) საზოგადოების მიერ 2010 წლის მოგება-ზარალის შესახებ;**
**2. დირექტორატის ანგარიშის დამტკიცება;**
**3. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;**
**4. 2011 წლისათვის აუდიტორის არჩევის შესახებ;**
**5. სხვადასხვა.**

**დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „გორიგაზის" დირექტორატში.**

◉ ინფორმაცია

**ყინულის სასახლე ბათუმის ბულვარში**

**ბათუმის ახალ ბულვარში ახალი ყინულის სასახლე დამონტაჟდა. ოლიმპიური სტანდარტების ყინულის სასახლე 2500 მაყურებელზეა გათვლილი.**

**60 მეტრი სიგრძისა და 30 მეტრი სიგანის ყინულის საფარი სლოვაკმა სპეციალისტებმა დაამონტაჟეს.**

**ოლიმპიური სტანდარტების ყინულის სასახლე მაღალი ხარისხის აკუსტიკური სისტემით გამოირჩევა. სასახლეში ამ დროისთვის ფიგურულ სრიალს 200 მოსწავლე ეუფლება. ყინულის სასახლეში სამუშაოები 1 აგვისტოს დასრულდება.**

ჯი-ეიჩ-ენი



◉ სიტუაცია



# ბოიკოტი — მეზობელს

**30 ივლისს რიო დე-ჟანეიროში „მუნდიალ-2014“-ის შესარჩევი ციკლის კენჭისყრა გაიმართება, სადაც გუნდებს ევროპის ზონის 9 ჯგუფში გაანაწილებენ. აქედან ბრაზილიაში გამგზავრების უფლებას გამარჯვებულები მიიღებენ, რვა მეორეადგილოსანი კი კიდევ ოთხ საგზურს გაითამაშებს.**

მართალია, სამხრეთამერიკულ ფორუმამდე ჯერ დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო რაუნდში ერთმანეთს არ შეხვდებიან საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების — საქართველოსა და რუსეთის, აგრეთვე აზერბაიჯანისა და სომხეთის ნაკრებები.

ასეთია ფიფას ვერდიქტი, მას კი შესაბამისი თხოვნით უეფამ მიმართა, რომელმაც, თავის მხრივ, „ევრო-2012“-ის წინასწარ სტადიაში დააშორიშორა ერთმანეთისგან ეს სუბიექტები.

**ცნობისათვის:** დამდეგ კენჭისყრაზე საქართველოს, სავარაუდოდ, მეოთხე კალათაში განთესენ, ხოლო რუსეთს — მეორეში.

**გიორგი შოთაძე**

◉ აშკარა, დაუჯერებელი

# უკვე სამნი

**აქამდე რომ ვინმეს ეთქვა, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ ესპანური პრიმერადივიზიონის კლუბების წევრები ჩამოვლენო, ალბათ, შაყირად მივიჩნევდით და გაგვეღიმებოდა, მაგრამ ამჯერად სახუმაროდ სრულიადაც არაა საქმე.**



მაშ ასე, ფაქტია, რომ თბილისის „დინამოს“ ღირსებას ამიერიდან სახელოვანი „ბარსელონას“ აღზრდილები კარლეს კოტო, ალბერტ იაგე ხიმენესი და ხისკო (ფრანცისკო ხავიერ მუნიოს ლომპარტიძ დაიცავენ, რომელსაც გულშემატკივარი „ვალენსიასა“ და „ლევანტეში“ გამოსვლებით იცნობს. ეს უკანასკნელი საქართველოს დედაქალაქში დღეს ჩამოფრინდება, დანარჩენი ორი გუშინ გამთენიისას გვეწვია და დილმის ბაზაზე ვარჯიშიც მოასწრო.

თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის წამყვანი კლუბის ახალ მესვეურთა მჭიდრო კონტაქტებს ესპანურ საფეხბურთო წრეებთან, უნდა ვივარაუდოთ, რომ დამდეგი სეზონის წინ შევსება კიდევ იქნება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ კალათბურთი

# ზღვისპირელთა ბენეფისი

**ამას წინათ დამთავრდა 18 წლის კალათბურთელ ვაჟთა საქართველოს ჩემპიონატი, რომელშიც 9 გუნდი მონაწილეობდა. ორწრიანი ჯგუფური ტურნირის დამთავრების შემდეგ პირველი ადგილი „სოხუმმა“ დაიკავა, ხოლო მეორეზე „ქუთაისი“ გავიდა. პლეიოფის გადამწყვეტ პაექრობაში სწორედ ეს კოლექტივები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ზღვისპირელებმა (ალეკო ჩოჩია, დავით გაფრინდაშვილი, ნიკა დოლიძე, გუგა ძიძიგური, რეზო როგავა (კ), დავით როგავა, შოთა გოლეთიანი, გეგა მესხი, შაკო პაიჭაძე, გიორგი ორმოცაძე, სანდრო მეგენეიშვილი, რევაზ როგავა, ოთო ბულიავა, ალეკო მესხი, მთავარი მწვრთნელი ლიკა ქაჯაია, ასისტენტი დიმიტრი ჟაკობოვი) რიონისპირელებს საერთო ანგარიში 2:1 (72:56, 63:82, 79:73) სძლიეს და ოქროს მედლები მოიპოვეს.**



გამთამაშებლის, ბომბარდირისა და მაყურებელთა სიმპათიის პრიზები.

დიდ სპორტთან განშორების მერეც არ შეუქცევია ზურგი კალათბურთისთვის: ვაჟა კვარაცხელიასთან ერთად მოღვაწეობდა სოხუმის „კოლხაში“. 2004 წელს ამ კლუბის ახალგაზრდა კალათბურთელებმა სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონობა. „სოხუმის“ 18-წლამდელთა გუნდს 2009 წელს ჩაუდგა სათავეში. მაშინ მისი შეგირდები მესამე ადგილით დაკმაყოფილდნენ, აი, წლეულს კი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ.



გამარჯვებულთა მესაჭე ლიკა ქაჯაია სოხუმში დაიბადა და გაიზარდა, 12 წლისა იქვე ეზიარა კალათბურთის საიდუმლოებას ვლადიმერ ხაშბას ხელმძღვანელობით. გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულს ქუთაისის პედაგოგიურ უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა და როგორც ქალაქის ნაკრების წევრმა ორჯერ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონობა. 1991 წლიდან ამ ტიტულს ექვსჯერ ფლობდა სტუს შემადგენლობაში. ეროვნულ ჩემპიონატებსა და საერთაშორისო ტურნირებში არაერთხელ დაიმსახურა საუკეთესო მოთამაშის,

— მთელი წლის განმავლობაში გუნდის ყველა კალათბურთელი ბოლომდე დაიხარჯა წარმატების მისაღწევად, — გვითხრა ლიკამ. — შეჯიბრებაში ბევრი კარგი გუნდი მონაწილეობდა, რომელთა წინააღმდეგობის დაძლევა იოლი არ იყო. განსაკუთრებით „ქუთაისი“ მინდა გამოვყო. ფინალში ნამდვილად ღირსეული მეტოქე გვყავდა. სამი მატჩის ჯამში გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. მართალია „სოხუმის“ გუნდიდან ყველა კალათბურთელი ქებას და მადლობას იმსახურებს, მაგრამ განსაკუთრებით პლეიოფის მატჩებში თავგამოჩენილი ბიჭები მსურს გამოვყო: პირველ შეხვედრაში ორმოცაძემ 20 ქულა შესძინა საკუთარ კოლექტივს, ჩოჩიამ — 18, ქუთაისში ჩოჩია გამოირჩა 23 ქულით, მესხისა და ბულიავას ანგარიშზეა 10-10 ქულა. ბოლო ორთაბრძოლის გმირად კვლავ ჩოჩია მოგვევლინა: საფინალო სასტვენამდე წუთით ადრე ანგარიში თანაბარი იყო — 73:73. სწორედ ამ დროს იყოჩაღა ალეკომ — უშეცდომოდ ტყორცნა შორიდან და „სოხუმი“ 3 ქულით დააწინაურა. ბოლო წამებზე კი მატჩს წერტილი ბულიავამ დაუსვა. ამ თამაშშიც ჩოჩიამ ყველაზე მეტი — 16 ქულა მოუტანა გუნდს. შემთხვევითი არ არის, რომ 18-წლამდელთა საქართველოს ნაკრებში მთავარმა მწვრთნელმა მიხეილ ბერუაშვილმა ჩვენგან სწორედ ალეკო ჩოჩია და რეზო როგავა მიიწვია და ევროპის პირველობის წინ უკრაინაში წაიყვანა. საწვრთნელ შეკრებებში გეგა მესხი, გიორგი ორმოცაძე და სანდრო მეგენეიშვილიც მონაწილეობდნენ.

**— სამომავლოდ რას აპირებთ?**

— ჩემპიონთაგან, ჩოჩიას და როგავას თუ არ ჩავთვლით, ზოგი ისვენებს, ზოგიც სკოლას ამთავრებს და ეროვნული გამოცდებისთვის ემზადება. 1993 წელს დაბადებული კალათბურთელები ასაკის გამო 20-წლიანთა გუნდებში გადაინაცვლებენ, 1994 წელს დაბადებულთ კი ახალგაზრდებს დავამატებთ და აგვისტოდან ვარჯიშებს განვაახლებთ, რათა ახალ სეზონს სათანადოდ მომზადებულები შევხვდეთ და ტიტულის დაცვა შევძლოთ.

**ესაუბრა**
**ვაჟა დანელია**

◉ ჩოგბურთი

# ფავორიტების კრახი

**უიმბლდონის ფინიშამდე რამდენიმე ეტაპია დარჩენილი, თუმცა ყველაზე პრესტიჟულ საჩოგბურთო ტურნირს უკვე დაემშვიდობნენ საერთაშორისო რეიტინგის ისეთი ბობოლები, როგორებიც არიან დები ვენუს და სერენა უილიამსები (მათ ინგლისის დედაქალაქის კორტებზე აქამდე 9 ტიტული ჰქონდათ მოხვეჭილიძ, მსოფლიოს მეორე ჩოგანი ვერა ზვონარიოვა და თანამედროვეობის საუკეთესო მოთამაშე კაროლინ ვოზნიაცკი (ფოტოზე).**



ამ უკანასკნელის ცოდვა სლოვაკმა დომინიკა ციბულკოვამ დაიდო, ამერიკელი დედმამიშვილები კი პენსიაზე, შესაბამისად, ბულგარელმა ვუნდერკინდმა ცვეტანა პირონკოვამ და ფრანგმა მარიონ ბარტოლიმ გაუშვეს.

**მანუჩარ გიორგაძე**

◉ თაღლითობა

# როცა ფეხბურთი ხიბლს კარგავს

**საფეხბურთო შეხვედრების წინასწარ განსაზღვრულ შედეგებთან დაკავშირებით იტალიაში მორიგი სკანდალი აგორდა. მსგავსი რამ იქ რამდენიმე წლის წინათაც მოხდა, როცა მატჩების გაყიდვისა და კლუბების ხელმძღვანელთა მსაჯებთან პირის შეკვრის გამო ქვეყნის ოთხი ყველაზე ტიტულოვანი გუნდი უმკაცრესად დაისაჯა.**

მაშინ „მილანს“ ჩემპიონატში 30 ქულა ჩამოაჭრეს, „ლაციოსა“ და „ფიორენტინას“ ევროთასებზე თამაშის უფლება ჩამოართვეს, „იუვენტუსს“ კი, რომლის პრეზიდენტი ლუჩანო მოჯი კორუფციული სქემის სულისჩამდგმელი იყო, ბოლო ორი ჩემპიონის ტიტული გაუუქმეს და სერია B-ში „მოისროლეს“.

წლეულს ეს ამბავი ტყუპისცალივით მეორდება: 1 ივნისის გამთენიისას იტალიის ცამეტ ქალაქში, წინასწარ მოლაპარაკებული შედეგებით საფეხბურთო შეხვედრების ჩაწყობის ეჭვის საფუძველზე, პოლიციამ თექვსმეტი კაცი დააკავა. მათ შორის წარსულში იტალიის ნაკრებისა და „ლაციოს“ თავდამსხმელი ჯუზეპე სინიორი (**ფოტოზეძ.**



შედეგების „ჩაწყობას“ ეჭვობენ იტალიის სამივე უმაღლესი ლიგის საფეხბურთო თამაშებზე. თაღლითები შედეგებს წინასწარ განსაზღვრავდნენ და ტოტალიზატორებში უზარმაზარ ფსონებს დებდნენ. ერთ ტურში ისინი დაახლოებით ხუთი თამაშის შედეგის „ორგანიზებას“ ახერხებდნენ, რის შედეგადაც ყოველი მოგება ერთ ჯერზე დაახლოებით 4 მილიონ ევროს აღწევდა! თანაც ამ დროს თაღლითები მარტო მსაჯებისა და მოთამაშეების მოსყიდვით, ანდა მათზე ზეწოლით არ შემოიფარგლებოდნენ, ისინი უფრო ვერაგულ ხრიკებსაც არ ერიდებოდნენ. მაგალითად, სერია C1-ში მოასპარეზე „კრემონეზეს“ გოლკიპერი მარკო პაოლინი თავის თანაგუნდელებს საჭმელში... ძილის წამალს უყრიდა, რათა მათ ხეირიანად თამაში ვერ შეძლებოდათ. მართალია ვარაუდობენ, რომ გამოძიება საკმაოდ ხანგრძლივი იქნება და მისგან სერიოზულ შედეგებს მოელიან, მაგრამ უკვე დადგენილია, რომ სერია A-ს 2010-2011 წლების სეზონში ჩაწყობილი იყო „ინტერ“ — „ლეჩეს“ შეხვედრა (ანგარიში 1:0ძ, ასევე „ფიორენტინა“ — „რომა“ (2:2ძ, „ლეჩე“ — „კალიარი“ (3:3ძ, „ჯენოა“ — „ლეჩე“ (4:2ძ.

იტალიურ მაფიასთან ბრძოლას შეჩვეული სამართალდამცველები საფეხბურთო დამნაშავეებთან ბრძოლაში დაუნდობლად მოქცევას აპირებენ და იმედოვნებენ, რომ ეს დადებით შედეგს გამოიღებს.

საგულისხმოა, რომ ჩაწყობილი თამაშების პრობლემა მარტო იტალიელებს, რუსებს ან, სამწუხაროდ, ქართველებს არ გვაწუხებს, ეს თემა საკმაოდ აქტუალურია ევროპის სხვა ქვეყნებშიც. მაგალითად, ფინეთში სინგაპურელი უილსონ პერუმალი, საკუთარი საფეხბურთო სააგენტოს მეშვეობით, მარტო ამ ქვეყნის ჩემპიონატის კი არა, არამედ ესტონეთის, ლატვიის, ბულგარეთისა და ბოლივიის ნაკრები გუნდების მონაწილეობით გამართულ თამაშებსაც კი აწყობდა! გერმანიაში ორმა ხორვატმა — მარიო ჩერტაკმა და ანტე საპინამ, თანამემამულეთა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის დახმარებით, ამ ქვეყნის უმდაბლეს ლიგებში 47 შეხვედრის შედეგი „ჩააწყვეს“. მათ 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ასევე გაასამართლეს მათი ხელქვეითებიც, ხოლო თაღლითობაში მონაწილე მოთამაშეები დისკვალიფიცირებულნი არიან.

**ირმა ირემაშვილი**

გამოფენა

# დიდი მგოსნის ხელშენახები ნივთები

**1908 წელს შექმნილი გიგო გაბაშვილის „აკაკის პორტრეტი“, ირაკლი თოიძის „აკაკი წერეთლის სიცოცხლის ბოლო წუთები“, ალექსანდრე გიგილაშვილის „აკაკის ცოლ-შვილი“, დიდი მგოსნის კუთვნილი სამეფო სტამბის მიერ 1817 წელს დაბეჭდილი სახარება, სხვა წიგნები, მისი აკვანი, სპილენძის თუნგი, ქოლგა, ყავის საფქვავი, ფინჯანი, საანგარიშო, კოსტიუმები, მრავალი სხვა, სულ დაახლოებით სამოცდაათი ნივთი იყო გამოფენილი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში სამი დღის განმავლობაში.**



სხვიტორის სახლ-მუზეუმიდან დედაქალაქში აკაკის პირადი ნივთების ჩამოტანისა და გამოფენის ინიციატორები, რომლებსაც იქაური მუზეუმის ერთ-ერთი თანამშრომელი წლების მანძილზე თავის სახლში ინახავდა, ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტი გოდერძი შარაშია და საქართველოს ეროვნული მუზეუმი იყვნენ. ორგანიზატორებმა აკაკი წერეთლის კუთვნილი ნივთების თბილისელთათვის და დედაქალაქის სტუმრებისთვის საჩვენებლად ერთ სივრცეში მოთავსება გადაწყვიტეს, ხოლო თავად გამოფენა ქართული პოეზიის მშვენების დაბადებიდან 174 წლის თარიღს დაამთხვიეს. 25 ივნისს გამოფენის გახსნაზე, რომელმაც საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია, სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი დავით ლორთქიფანიძე და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი. გამოფენა 28 ივნისს დაიხურა.



**ირმა ირემაშვილი**
**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**



დრო რას არ მოიტანს!

# ლექსთსწორება

„ერისკაცების“ გარჯით შაგრენის ტყავივით შემოგვადნა საქართველო. სამაჩაბლოს სამხრეთ ოსეთი დაარქვეს, ულამაზეს დალის ხეობას – ზემო აფხაზეთი, ერევან-ბათუმის გზის მიმდებარე ტერიტორიას, ალბათ, ჩრდილო სომხეთს დაარქმევენ და ნამდვილად ახდება მუხრან მაჭავარიანის ტკივილიანი სტრიქონები: „...ვახტანგის ადგილს იჭერს ხეჩუა, გვეცლება ქართლი თვალს და ხელშუა“...

„ოდესმე დიდი ყოფილა საქართველოო“ ბრძანა მურმან ლებანიძემ. დღეს რომ იგი ჩვენს შორის იყოს, ალბათ, თავის ცნობილ ლექსს ასე ჩაასწორებდა:

**ლამაზი არ არის:**
**ქვეყნის პრეზიდენტი კუნტრუშით დარბოდეს,**
**პატარა მაგდანა ჭკუას გვარიგებდეს,**
**რუსთაველის ქვეყანაში გიგა ლაღობდეს,**
**და თაღლითი მოწყალებას არიგებდეს.**

**ლამაზი არ არის:**
**ნარკომანი მინისტრის სავარძელში ჯდებოდეს,**
**მხედრიონელი კი პარლამენტარი ხდებოდეს,**
**მთლად უმწიფარი დიაცი დიპლომატდებოდეს,**
**ღმერთო, დაგვიფარე და, ბენდუქიძე ხდებოდეს.**

**ლამაზი არ არის:**
**რომ წითელი ცისფერით იცვლებოდეს,**
**ბარამიძე სამიტებზე დადიოდეს,**
**ბარემ ესეც ითქვას, ისეთიც ხდებოდეს,**
**სამშობლო ხელთ ეპყრას ლაწირაკს ათიოდეს.**

**ნოდარ კუჭავა**

შვილი ვალერი ასათიანი, რძალი თამარ სულაძე, და ფატი, შვილიშვილები რატი, სანდრო, რძალი ირინა ხიზანიშვილი, შვილთაშვილი სალომე, უახლოესი ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თინათინ (თინაძ კუხალაშვილი-ასათიანი

პანაშვიდი 30 VI, 1 VII, 16 სთ. დაკრძალვა შაბათს, 2 VII, 15 სთ. ქუთაისი, ვაჟა-ფშაველას IV შესახვევი, №19.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითადად თანაუგრძნობს შესანიშნავ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს, რედაქციის მეგობარსა და ავტორს ვალერი ასათიანს დედის

თინათინ კუხალაშვილი-ასათიანის

გარდაცვალების გამო.

---

ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია თანაუგრძნობენ ბატონ ვალერი ასათიანს დედის

თინათინ კუხალაშვილი-ასათიანის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს გზათა სამეცნიერო კვლევითი და საწარმოო ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტი „საქგზამეცნიერება“ ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის



კონსულტანტი სამეცნიერო დარგში, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რამაზ ღამბაშიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, პანაშვიდი 28, 29 VI, 17 სთ. გამოსვენება 30 VI, 15 სთ. მისამართი: ჩიქოვანის ქ. (ხილიანისძ 24ა.

---

უახლოესი გარდაცვლილი მეგობრების მერაბ ალექსიძის, ჯემალ ანჯაფარიძის, ბიძინა ბოკერიას, ილო ბარათაშვილის, ზურაბ ბოკუჩავას, ვოვა გოზალიშვილის, გივი გუგუშვილის, გივი ზარდიაშვილის, ლეო იმნაძის, კისია კაპანაძის, მარინა კერესელიძის, მერაბ მაჭავარიანის, მანანა მეგრელიძის, ჯუნა მიქატაძის, გურამ ოქრუაშვილის, ჯუმბერ სანიკიძის, გურამ ქავთარაძის, დემნა ქარსელაძის, გიზო ღვალაძის, ნანული ღოღობერიძის, ზურაბ შოშიტაიშვილის, იური შახოვის, ლულუ ჩხაიძის, გურამ ჭეიშვილის, თამაზ ხუნჯუას, ირინა ჯანდიერის ოჯახები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რამაზ ღამბაშიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.


# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**სს „ელმავალმშენებელი“ 2011 წლის 29 ივნისიდან აცხადებს აუქციონს ქარხნის საქვაბეში მდებარე 5 ცალი ქვაბის: 3 ცალი ДКВР-10-13 და 2 ცალი ВВД 6,5/13 ქვაბების აგურებისაგან გამონთავისუფლებაზე და გამონთავისუფლებული აგურის რეალიზაციის შესახებ.**

გამონთავისუფლებული (მეორადიძ წითელი და შამოტის აგურის საორიენტაციო რაოდენობაა 150000 (ასორმოცდაათი ათასიძ ცალი.

1 (ერთიძ ცალი მეორადი აგურის საწყისი საააუქციონო ფასი დემონტაჟის გათვალისწინებით შეადგენს 0.4 ლარს დ.ღ.გ.-ს ჩათვლით.

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

მყიდველი ვალდებულია გამარჯვების შემთხვევაში აუქციონის ჩატარებიდან 5 (ხუთიძ კალენდარული დღის ვადაში გააფორმოს შესაბამისი ორმხრივი ხელშეკრულება, რომელშიც კონკრეტულად განისაზღვრება შესასრულებელი სამუშაოების გეგმა-გრაფიკი და ანგარიშსწორების პირობები.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველდღე უქმე დღეების გარდა, 10-დან 15 საათამდე. (ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართულიძ.

აუქციონი გაიმართება 2011 წლის 18 ივლისს $15^{00}$ საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული.

**აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:**

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ, მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით, მისამართის და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით.
2. პირადობის მოწმობის ქსერო ასლი.
3. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
4. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

**გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისაძ.

**დამატებითი ინფორმაცია აუქციონის შესახებ შეიძლება მიიღოთ: ტელ. 265-10-34 , 577 55-10-34, 577 48-80-10.**

**სს „ელმავალმშენებელის“ მუდმივმოქმედი სატენდერო და სააუქციონო კომისია.**


პაპანაქება ზაფხულში...

# ფესტივალი გაისადაც გვესტუმრება

**ლუდის ფესტივალები, რომლებიც ჩვენში ევროპიდან არცთუ დიდი ხნის წინათ შემოვიდა, თბილისში თანდათანობით ტრადიციის სახეს იღებს ზაფხულის ცხელ დღეებში.** გასულ შაბათ-კვირას მორიგი ასეთი ლუდის ზეიმი დედაქალაქის ვარდების მოედანზე გაიმართა, სადაც ამ არაჩვეულებრივი სასმელის მოყვარულთ საამო მუსიკა „ცოცხალი შესრულებით“ და საგანგებოდ ფესტივალზე გერმანიიდან ჩამოსული ათი გამოცდილი მიმტანი ემსახურებოდა. თუმცა ლუდის ტრფიალთათვის გაცილებით საამური არა გერმანელ მანდილოსანთა პროფესიონალიზმი, რამდენად ულამაზესი სამოსელი და მომხიბლავი გარეგნობა იყო. ბევრმა მათთან სამახსოვრო სურათის გადაღების სურვილიც გამოთქვა, რაზეც ქალიშვილები სიამოვნებით დათანხმდნენ, ხოლო ხეიბარ ბავშვებთან ერთობლივად გადაღებული ფოტო, ალბათ, ბევრისთვის სანუკვარი მოგონების ნიშნად დიდ ხანს დარჩება.

ფესტივალის დახურვისას, რომელიც თბილისელებს მომავალ წლამდე დაემშვიდობა, ლუდის სმაში შეჯიბრი გაიმართა, რაშიც თავის გამოჩენა ცალკე მამაკაცებმა და ცალკე ქალბატონებმა სცადეს.

**ლალი ხუნდაძე**
**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**





## დეზოდორის მაგივრად

# როცა გაზეთი განავლის სუნად ყარს...

## ანუ როცა გაზეთი თვითონ იქცევა ტუალეტის ქაღალდად




პატივცემულო „საქართველოს რესპუბლიკავ, თქვენი გაზეთი ერთხელ უკვე წერდა 18 წელიწადი ციხემოვლილი „ახალგედა მწერლის“ ვინმე ზურაბ ლეჟავას ერთ-ერთი მოთხრობის გამო („ქებათა ქება პედერასტიას, ანუ ლიტერატურული გაზეთის შეუსაბამო პოზა“). მსგავსი უხამსობის პროზად გასაღება მხოლოდ პათოლოგიურ, არაჯანსაღი აზროვნების ადამიანებს თუ შეუძლიათ.

ციხეში ნაჯდომობა თავისთავად ცუდს არც არაფერს არ ნიშნავს, მით უმეტეს, მწერლური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანისთვის, თუ, რასაკვირველია, უკვე ბევრი რამით ჭკუანასწავლი სხვათაც ჭკუის სასწავლებლად მიაწვდი „ნაციხრობის გამოცდილებას“, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით ზემოხსენებულ ზურაბ ლეჟავას ეგრეთ წოდებულ „პროზაზე“, რომლის კიდევ ერთი „ნიმუში“ (გაზეთის მთელი ხუთი გვერდი) აგერ ახლა თავის ბოლო ნომერში (№52) შემოგვთავაზა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გამომავალმა „ლიტერატურულმა გაზეთმა“ („საჭირბოროტო ჭიკარტი, ფალსიფიცირებული ტუალეტის ქაღალდი და ეს ყბადაღებული საყოველთაო სინაღდე სიყალბისა“).

## სიბინძურის ყულაბა




...ამ ვითომ მოთხრობის გმირი იგორ კერესელიძე ვინმე თაღლით აკადემიკოსს სტუმრად ელოდება და („ეჰ, ეს აკადემიკოსები... მანტრებს რომ უმღერიან თავიანთ და ერთმანეთის ტრაკებს..“) თავში „უცენზურო აზრები“ უტრიალებს: „დავიჯერო, ახლა ვითომ მოჯვავს?.. ნუ, ტუალეტში, ალბათ, შევა, მაგრამ მოსაფსმელად თუ შევა თორემ... აბა, ახლა მოსაჯმელად ხომ არ შევა ამისთანა განათლებული გვამი... აი ხომ არის ზოგჯერ რომ მოგაწვება მამაპაპურად... მაშინ? მაშინ ჩინური ქაღალდით ხომ არ გამოიწმინდავს?“... მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ „ჩინური ქაღალდით გამოწმენდისას თითების მორიდება და სხვანაირი სიფრთხილეა საჭირო, აკადემიკოსმა კი არ იცის, ის ხომ მთელი ცხოვრება იმპორტული ქაღალდით სარგებლობს“...

მაგრამ ვაი რომ იგორ კერესელიძე ყაირათიანი კაცია და არც ფეხსალაგი უვარგა... ამიტომ ქაღალდსაც ისევ ჩინურს იყიდის, რომელიც „ჰოლივუდის მაღალანაზღაურებადი მეგავარსკვლავის ედისონ ჰარტსის“ გამოსახულებიან ქაღალდშია გახვეული. მსახიობის უკან იდგა „კოხტა ხის ტუალეტი და ჰარტსი, „ჰოლივუდური“ ღიმილით მოსაჯმელად ეპატიჟებოდა გამვლელ-გამომვლელს“. ტუალეტის ქაღალდის გარდა, იგორმა ჩინელისგან შეიძინა ერთი რულონი კედელზე ასაკრავი სარემონტო ქაღალდი და ერთი კოლოფი ჩინური ჭიკარტიც... თავისი სოფლური ხალაბუდა ფეხსალაგის გასალამაზებლად, რომლის კედლებიც იგორის „მაგარტრაკა, კუანა“ ბიჭის ბოტიჩელისებრი ყაყის მონასმებით“ არის „დამშვენებული“, თვითონ იგორი კი ასე მიმართავს საყვარელ „მაგარტრაკა, კუანა“ ბიჭს: ჩაგყლაპო, მძღნერო?!“

მაგრამ ისევ ვაი რომ აკადემიკოს-კურორტოლოგს ცხვრის მწვადმა აწყინა და კუჭმა „რეჩხი უყო“ და „ტრაგედიაც“ დაიწყო: „აკადემიკოსი ტუალეტში შევარდა, კარი მიიხურა და იქიდან ისეთი ხმა გამოსცა, როგორსაც გამოსცემს ბომბდამშენი ავიამზიდზე დაჯდომისას, როცა ზღვაზე ცხელა, ხოლო თვითმფრინავის ერთი შასი გახსნილია (ჩანს, აქ უკვე მკითხველის ფანტაზიამ უნდა იმუშაოს!).

„თითებგათხუპნულმა“ აკადემიკოსმა „მესამე და ვაგლახ, საბოლოო მცდელობისას“ იმდენი ქაღალდი მოხია, რომ „ნამდვილად ეყოფოდა ერთ ჰექტარ ტრაკს“... ბოლოს ედისონ ჰარტსის სურათით დააპირა გამოწმენდა. „ყოველ შემთხვევაში, მძღნერის სუნი ხომ მაინც აღარ აუვიდოდა სუფრაზე? არადა, რავალია?! აკადემიკოსი კაცი სუფრას უზის და მძღნერის სუნი ასდის“... და აკადემიკოსმა „მსწრაფლ ჩამოგლიჯა კარიდან ედისონ ჰარტსის სურათი და დაუყოვნებლივ გამოიწმინდა ტრაკი“, მაგრამ „ჰარტსის სურათი საიმედოდ მიეჭიკარტა, ანუ ჭიკარტი ტრაკში შეერჭო“ და გაზეთის მთელი ერთი გვერდი დათმობილი აქვს „ტრაკში ჭიკარტშერჭობილი“ ამ ვაიაკადემიკოსის „დუმებით მანიპულირებას“, სანამ საბოლოოდ „არ ჩაიჯვა და ქათქათა პერანგის კალთაზეც არ დაიჯვა“, თუმცა, „რა არის ვაჟკაცი კაცისთვის ერთი პატარა ჭიკარტი ტრაკში?“

ამის შემდეგ სხვა ათასი „უბედურება“ იწყება „წიაღსვლების“ სახით. „ვიღაც გამოუცდელმა ქირურგმა ბრმანაწლავის ოპერაციის გაკეთებისას საკუთარი ყვერი მიაკერა ავადმყოფს“ მეორე ავადმყოფს კი „კიდევ კარგი ნარკოზის ქვეშ ეძინა, რომ გაიღვიძებდა, ხომ გაგიჟდებოდა, როცა დაინახავდა, რომ ექიმის ყვერებზეა „ჩერეზ“ ღილი მიკერებული“.

და ამ ვითომ მოთხრობას ბოლო მინაწერიც აქვს, სადაც ვიგებთ, რომ სტალინს თურმე... „ერთგვარი „ფობია“ სჭირდა, რაც გამოიხატებოდა იმის შიშში, რომ ვინმე „შეჭირვებული“ მისი ფოტოსურათით კუჭში გასვლის შემდეგ უკანალს გამოიწმენდდა“, ამიტომ პოლიტბიურო ადგენს, რომ „სტალინის სურათები გამოქვეყნებულიყო მხოლოდ ანთებული ჩიბუხით პირში“ (რათა ავტორის ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, გამომწმენდს „ტრაკი“ არ დაწვოდა), ანუ „როდესაც ბელადი უკიდებს ასანთით ჩიბუხს“ ხოლო „მას შემდეგ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სტალინის სურათით ტრაკის გამოწმენდის მხოლოდ ერთეული შემთხვევებია დაფიქსირებული“ (ამ ეპიზოდში, როგორც ჩანს, ეს ეგრეთ წოდებული მწერალი თვით მგზნებარე ანტისტალინელი კულტურის მინისტრის მითითების მიხედვით მოქმედებს!).

და, დასასრულ, განავლის საკითხებში „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქციასთან ერთად ეს ფრიად გარკვეული ავტორი გვირჩევს, რომ „თუ გამოწმენდისას შემთხვევით მაინც მოგვესვრება თითები, მაშინ ვიტოვებთ ექსკლუზიურ უფლებას, რომ ამ თითებით განხორციელებული უაღრესად აკადემიური და მსუყე ბოტიჩელისეული მონასმები დავაჩნიოთ... ჩვენი მოხდენილი სოფლური ტუალეტის კედლებს“ (სტალინს ვინღა ჩივის, ბოტიჩელიც „მძღნერში ამოსვარა“!).

მეც, რაღა დაგიმალოთ და, ეს ერთგვარი „განავლური ბელეტრისტული შედევრი“ სწორედ ჩვენი სოფლის ერთ მოხდენილ სოფლურ ტუალეტში წავიკითხე, რაშიც უთუოდ ჩემი ყაბზობა დამეხმარა... არ ვიცი, შემთხვევით თუ, არ ვიცი, განგებ, ბებიაჩემს ტუალეტის ქაღალდის მაგივრად შეეტანა იქ კულტურის სამინისტროს მიერ დაფინანსებული „ლიტერატურული გაზეთის“ სწორედ ეს ბოლო ნომერი, რომელიც, როგორც იტყვიან, დიდად წამადგა „შეჭირვებულს“ გამოწმენდაში...

და უზომოდ შევებამოგვრილმა მადლობა შევუთვალე ამ მოთხრობა-განავლის დამაშვრალ ავტორს.

**ჯუანშერ ხიდირბეგაშვილი,**
მცხეთა.

## დაიჯესტი

### მილიარდერთა „გასაჭირი“



**მსოფლიოში უმდიდრეს ადამიანთა სია, ვინც ციხეშია, ან პოლიციის მიერ იძებნება, ამერიკულმა ჟურნალმა „ფორბსმა“ გამოაქვეყნა, რომელმაც კომენტარში ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დიდი ფული თავისუფლების შენარჩუნების გარანტია ყოველთვის როდია.**

სიის პირველი ნომრები რუსი ოლიგარქები **მიხეილ ხოდორკოვსკი** და **პლატონ ლებედევი** არიან. პირველი მათგანი ერთ დროს რუსეთში უმდიდრესი კაცი იყო 15 მილიარდი დოლარით. ორივეს 350 მილიონი ტონა ნავთობის მოპარვა ედებათ ბრალად, თუმცა ისინი ამას უარყოფენ. ასევე ციხეშია ელექტრონიკის მაღაზიათა ქსელის მეპატრონე **ხუან გუანიუა,** რომელიც ცოტა ხნის წინათ ჩინეთში ყველაზე მდიდარ კაცად ითვლებოდა. 14-წლიანი პატიმრობა მას ქრთამის მიცემისა და ფინანსური მაქინაციებისთვის მიუსაჯეს.

პატიმარ-მილიარდერთა შორის „ რეკორდსმენია“ ამერიკელი **ალენ სტენფორდი,** რომელმაც 8-მილიარდიანი ფინანსური პირამიდა შექმნა. მას 250-წლიანი პატიმრობა ემუქრება. ციხეში ცხრა წელს გაატარებს იტალიელი **კალისტო ტანცი,** რომელმაც მისივე კუთვნილი ფირმა „პალმალატი“ „გააკოტრა“ და ფული უკანონოდ მიითვისა. სამი მილიარდერი — მექსიკელი ნარკობარონი, თურქი ბიზნესმენი და ტაილანდიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი კი მართლმსაჯულებას ემალება.

### სპილოს ფეხის... ურნა



**ერთი სპილოდან... ოთხი ქაღალდის ჩასაყრელი ყუთის „მიღება“ შეიძლება.** უწინ ამ საცოდავი გოლიათების „ღვთის რისხვა“ მარტო მათი ეშვები იყო, ახლა კი მათ „საქაღალდე ურნების“ დასამზადებლადაც ხოცავენ.

### ყველაფერი ცისფერი ცუდი კი არაა!

**ცისფერი შუქის ხილვა, თურმე, შემოდგომის სევდის გაფანტვას, ჭარბი მადის გაქრობასა და სიცოცხლის დაბალი ტონუსის აწევას უწყობს ხელს.**

ამერიკელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ სპექტრის ხილული ცისფერი ნაწილის ზემოქმედებით, თვალის რეცეპტორები ძილისა და ფხიზლობის, აზროვნების აქტიურ პროცესებსა და განწყობას არეგულირებენ. გარდა ამისა, ცისფერი ამცირებს ძილის ჰორმონის — მელანინის გამომუშავებას და ორგანიზმის ბიორითმების აქტიურ რეჟიმში მუშაობის სტიმულირებას ახდენს.

### სიხარულსაც მალვა სდომებია

**ოჯახური ბედნიერებისა და მეგობრული ცოლ-ქმრული ურთიერთობების საიდუმლოებები შეიტყვეს ავსტრალიელმა მეცნიერებმა: თურმე ქმარმა ცოლს არასდროს უნდა დაანახოს, რომ ქორწინება მას უფრო მეტ სიხარულს ანიჭებს, ვიდრე მეუღლეს.**



მამაკაცები უნდა გავაფრთხილოთ, რომ თუკი ისინი დაუფარავად დაანახვებენ თავიანთ მეუღლეებს, რომ ქორწინება მათთვის უდიდესი ბედნიერებაა, თავისუფლად შეუძლიათ განქორწინებისთვის მომზადების დაწყება, — ასეთია მკვლევართა დასკვნა.

დადგენილია, რომ რაც უფრო დიდია ცოლ-ქმარს შორის სხვაობა თანაცხოვრების კმაყოფილების მხრივ, მით უფრო დიდია ცოძ-ქმრულ ურთიერთობათა კრახის საშიშროება.

### შეგვიმცირეთ გადასახადები!

**ნახევრად ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, ინგლისში 20-25 ათასი... მოჩვენებაა რეგისტრირებული.** სასამართლოები სახლების მეპატრონეთა განცხადებებს განიხილავენ, რომლებიც მათზე დარიცხული გადასახადების შემცირებას მოითხოვენ იმის საფუძველზე, რომ არსებული მოჩვენებები ბინების პოტენციურ დამქირავებლებს... აფრთხობენ.

### მკურნალობა... მექსიკურად

**ჯერ კიდევ ანტიბიოტიკების აღმოჩენამდე კიბოს მკურნალობის ეგრეთ წოდებული „მექსიკური ხერხი“ არსებობდა.** სარძევე ჯირკვლის კიბოთი სნეულ ქალს... სტაფილოკოკით აავადებდნენ. ამის შემდეგ ავადმყოფი ან იღუპებოდა, ანდა ბაქტერიები ანადგურებდნენ კიბოს უჯრედებს და ქალი გამოჯანმრთელდებოდა.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6578 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4240 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7150 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9891 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.5068 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1303 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1107 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0635 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5885 ლარი |



## ანეკდოტები

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დემოკრატია, ისევე როგორც მართვის სხვა ფორმები, სქესობრივი გზით გადაეცემა. ანუ, თუ გინდა, რომ რომელიმე ხალხს გადასცე დემოკრატია, ჯერ ეს ხალხი კარგად უნდა იხმარო.

* * *

— ივანიჩ, როდის გაქვს სადილის შემდგომი დასვენება?



— მას პირველიდან ორამდე სძინავს.

— ვის მას?

— ჩემს ცოლს.

— შენი ცოლი რა შუაშია. მე ხომ მასზე არაფერი არ მიკითხავს?

— არა, მაგრამ მე სწორედ მაშინ ვისვენებ, როცა მას სძინავს.

* * *

ვისაც სჯერა, რომ 2012 წლისთვის სამყაროს აღსასრული დადგება, ქონება ჩემზე გადმოაფორმოს.

* * *

— რატომ მოწამლეთ მეზობლები? — ეკითხება მოსამართლე სვანს.

— აბა რა მექნა? მაღაზიაში მითხრეს, ტარაკნების მოწამვლა მეზობლებთან ერთად არის უკეთესიო.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოძუაშვილი 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24